# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 6 მარტი, 2008 წელი.

№ 42 (5900)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## აქვს თუ არა ხელისუფლებას შეცდომის აღიარების, ხალხის გულის მოგების სურვილი, „სამშობლოს“ დაბრუნებით გამოჩნდება!

2





მურად ალაშვილის ფოტო.

## „პრაიმტაიმის“ შუქ-ჩრდილები

4





5-6

## ანტიეროვნული ეკონომიკა

## „არ წახვიდე, თორემ ვიცი, სხვა მოვა, იმ სხვასთანაც ყველაფერი გამოვა“

3






3

## გია თორთლაძე: თუ ჩემი და ოქრუაშვილის პოლიტიკური შეხედულებები გაიყო, შესაძლოა, პარტიაც დავტოვო

# სამშობლონართმეულები

● ნუთუ ქართული პრესა იმის ღირსი არ არის, რომ დავუბრუნოთ შენობა თავის კანონიერ მფლობელებს – რედაქციებს

**◉ საზოგადოება ჩვენ გვერდით**

## გონიერების გამარჯვების იმედი გვაქვს

შარშან, 10 აგვისტოს, რაც ამ ხელისუფლებამ ჩაიდინა, მისი უჭკუო ქმედებებიდან გამომდინარე, დიდად გასაკვირი არ იყო, მაგრამ მაინც შევცბუნდით: რას ნიშნავდა ეს?! დაპირისპირება მწერლებთან, დაპირისპირება მეცნიერებთან, დაპირისპირება ყველასთან, ყველასთან და, აი, ჟურნალისტების – ვერაზე ცნობილი შენობის, გამომცემლობა „სამშობლოს“ ჯერიც დამდგარიყო. პოლიცია შემორტყმოდა ირგვლივ აქაურობას, არავის შენობაში არ უშვებდნენ და შიგ განთავსებულ ათეულობით გაზეთის რედაქციასა და გამომცემლობას კატეგორიულად უბრძანებდნენ, სასწრაფოდ დაეცალათ შენობა.

რატომ? რისთვის?...

იყიდებაო და იმიტომ!

რახან ძალამ აღმართი ამჯერადაც მოხნა, დაცალეს იქაურობა, ზოგი რედაქცია სად წავიდა და ზოგი სად... აუტანელ პირობებში მუშაობენ ისინი და შეძლებისდაგვარად ემსახურებიან მართალ სიტყვას...

ამ „აქციის“ შემდეგ ბარე 7 თვე გავიდა, ჩვენი მეგობარი ჟურნალისტებისგან კი გვესმის, რომ გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა ჯერაც გაუყიდავია და გაძარცულია!...

რატომ, ჩვენო პრეზიდენტო?!

რატომ, ჩვენო ხელისუფლებავ?...

ნუთუ არ შეიძლება, ნუთუ ქართული პრესა იმის ღირსი არ არის, რომ დავუბრუნოთ შენობა თავის კანონიერ მფლობელებს – რედაქციებს.

ნუთუ არ შეიძლება, რომ ამ შენობას დაერქვას „პრესის სახლი“ და იქ დუღდეს ყოველდღიური ცხოვრება, ნორმალური სამუშაო პირობები ჰქონდეთ ბეჭდვითი მასმედიის მუშაკებს! ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გონიერება გაიმარჯვებს, სამართალი პურს ჭამს, ხოლო ეს შესანიშნავი, ნიჭიერი ადამიანები თქვენი მადლიერიც და თანამდგომიც იქნება ყოველ კარგ საქმეში, გასასტიკებულო ხელისუფლებავ!...

**ჭაბუა ამირეჯიბი, თენგიზ არჩვაძე, ოტია იოსელიანი, გიგა ლორთქიფანიძე, თამარ ჭოხონელიძე.**

**◉ საგანგებო სიტუაცია**

## აქვს თუ არა ხელისუფლებას შეცდომის აღიარების, ხალხის გულის მოგების სურვილი, „სამშობლოს“ დაბრუნებით გამოჩნდება!

**ამ რამდენიმე დღის წინათ გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყრილი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებმა ღია წერილით მიმართეს საქართველოს სახალხო დამცველს, ყოფილ ჟურნალისტსა და რედაქტორს ბატონ სოზარ სუბარს. მანამდე იყო დამაჯერებელი, პრინციპული, სამართლიანი განცხადებები, მიმართვები, საგანგებო აქციები, ინტელიგენციის წარმომადგენელთა მხარდამჭერი წერილები ხელისუფლების გასაგონად, მაგრამ... არსაიდან ხმა, არსით ძახილი!**

პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და მათი ხელქვეითი ჩინოვნიკები, დიდი ილიას ბრძანებისა არ იყოს, ამჯერა-



დაც „ყველა ყრუ და ყველა ცრუ“ გამოდგა. არავის ეგონა „ვარდების რევოლუციის“ და მოჩვენებითი დემოკრატიის გზით მოსული ხელისუფლება ჟურნალისტებს, თავისუფალ სიტყვას ასე უმოწყალოდ დაერეოდა და მხოლოდ რამდენიმე ტელეარხს და გაზეთს – ოდენ ხელისუფლების გუნდრუკის მკმეველს – გააფეტიშებდა.

**პირდაპირ უნდა ვთქვათ: გამომცემლობა „სამშობლოდან“ ჟურნალისტების ულირსი, სამარცხვინო მეთოდებით გამოყრა და მათი ელემენტარული უფლებების შეურაცხყოფა მოძალადე ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მიუტევებელი შეცდომა იყო!**

სწორედ ამ შეცდომის „დამსახურებაც“ გახლდათ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის რის ვაი-ვაგლახით, აშკარა გაყალბებით შეკოწიწებული 53 პროცენტი!

განა ვისმე სმენია ასეთი გაუგონარი მკრეხელობა? – დემოკრატიის „შუქურას“ უწოდებდე საკუთარ თავს და ყველაზე პოპულარული, სანდო, წელში გამართული და ეროვნული ცნობიერებით დამუხტული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს მათივე შემოსავლებით აგებული შენობიდან აძევებდე?

განა სადმე გაგონილა, საქვეყნოდ აღიარებულ ჟურნალისტებს, მწერლებს, მსახიობებს, მხატვრებს (მეცნიერებსაც კი!ძ „ჩარეცხილებს“, „უბადრუკებს“, „უვიცებს“ უწოდებდე?

განა გაგონილა, პრეზიდენტი საკუთარი ჯიბის ხუთიოდე ჟურნალისტს ხვდებოდე და ამ ფაქტს მასმედიასთან საყოველთაო ურთიერთობად ასაღებდე?

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, **სახელმწიფოს, რომელმაც 2007 წლის 10 აგვისტოს, დილის 4 საათზე, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობას რკინის ჯებირი შემოავლო და 500 პოლიციელი „მცველად“ დაუყენა, საამისოდ არც იურიდიული და, მით უმეტეს, არც მორალური უფლება არ ჰქონდა!**

ჟურნალისტების გამოყრის შემდეგ, უპატრონოდ მიგდებული „სამშობლოს“ სართულები, უკვე მეშვიდე თვეა, გაპარტახებულ-გატიალებულია. გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი შპს „სამშობლოს“ დირექცია (ის ჯერაც „ცხოვრობს“ III სართულზეძ, ვერ უვლის ამ უზარმაზარ ნაგებობას.

ვაი, უბედურო ჟურნალისტებო, ვაი, გატიალებულო „სამშობლოვ!..“

* * *

**გუშინ გამომცემლობის წინ, როგორც ეს ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილია, გაზეთ „ასავალ-დასავლის“ ჟურნალისტმა გიორგი მამაცაშვილმა უვადო შიმშილობა დაიწყო.**

ჟურნალისტის მთავარი მოთხოვნაა **დაუყოვნებლივ და უპირობოდ დაუბრუნდეს გამომცემლობა „სამშობლო“ საკუთარი შენობიდან გამოყრილ ჟურნალისტებს და გადაიქცეს საქართველოს მასმედიის სახლად!**

არის სხვა სამართლიანი მოთხოვნებიც, მაგრამ ჯერ ამ უპირველესი და უმთავრესი მოთხოვნის აღსრულებაა მთავარი.

შიმშილობის დაწყებასთან დაკავშირებულ მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს მწერალმა რევაზ მიშველაძემ, პუბლიცისტმა გურამ გოგიაშვილმა, პროფესორმა თამაზ ჯოლოგუამ, ჟურნალისტებმა კლარა აბრამიამ, ჯაბა ხუბუამ და სხვ.

შიმშილობის აქციას მხარი დაუჭირეს ოპოზიციის (კ. დავითაშვილი, გ. ხაინდრავა, კ. შარტავა, ი. მელაშვილი, გ. სანიკიძე, ლ. ჩხარტიშვილი და სხვ.), აგრეთვე, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მთლიანად უჭერს მხარს ამ აქციას და... ამ დღეებში, სხვა რედაქციების ხელმძღვანელებთან ერთად, სახალხო დამცველთან შესახვედრად ემზადება...**

**სპარტაკ ქოზულია**



**◉ დღის მაჯისცემა**

## „ხელისუფლება ვირებით არის დაკომპლექტებული“

**ხელისუფლება დაკომპლექტებულია „ვირებით“ – ასეთი განცხადება გააკეთა ჟურნალისტებთან საუბრისას ერთიანი საბჭოს წევრმა ირაკლი მელაშვილმა.**

– ვირებთან გამოყენებული უნდა იყოს ისეთი მეთოდები, რომლებიც მათ შეესაბამება. შესაბამისად, ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ელით მშვიდი ცხოვრება, ამის საშუალებას მათ ერთიანი ეროვნული საბჭო არ მისცემს, – აღნიშნა მელაშვილმა.

მისივე აზრით, ოპოზიციის რეიტინგის კლება განაპირობა იმან, რომ ერთიანმა ეროვნულმა საბჭომ არ შეასრულა საზოგადოების დაკვეთა, გაეგრძელებინა აქციები და ამ ფორმით გამოეხატა პროტესტი.

## „სააკაშვილი არ არის ლეგიტიმური პრეზიდენტი“

**ოპოზიციის მოთხოვნებს ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნა დაემატება. ამის შესახებ ეროვნული საბჭოს წევრმა კობა დავითაშვილმა განაცხადა.**

დავითაშვილის თქმით, ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ საბოლოო დასკვნა გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისა და ხმის დათვლის პროცესი ნაკლებად პოზიტიურადაა შეფასებული.

მისივე თქმით, 9 მარტს, თბილისში საპროტესტო აქცია გაიმართება, სადაც ოპოზიციის 3 მოთხოვნას კიდევ ერთი – ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ მოთხოვნა დაემატება.

– ევროპის მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა სადამკვირვებლო მისიის დასკვნა, სადაც საარჩევნო პროცესი უარყოფითად არის შეფასებული. ეს განცხადება ქართველი ხალხის გამარჯვებაა საერთაშო-



რისო ასპარეზზე. სააკაშვილი არ არის ლეგიტიმური პრეზიდენტი, ამ მოთხოვნით 9 მარტს გაიმართება საპროტესტო აქცია, – განაცხადა დავითაშვილმა.

## შეიძლება ზვიად ძიძიგურმაც შიმშილობა დაიწყოს

**ერთიანი ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური პროტესტის ნიშნად შიმშილობის დაწყებას არ გამორიცხავს.**

როგორც ძიძიგურმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ერთიანი ეროვნული საბჭო იმ ფორმებს განიხილავს, რომლებითაც პარლამენტის წინ პროტესტის გამოხატვა მოხდება.

მისივე თქმით, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან საუბარი მხოლოდ ასეთი ფორმით შეიძლება.

– ხელისუფლება ყრუ-მუნჯია და მათთან მხოლოდ ასეთი პროტესტის ფორმებით შეიძლება საუბარი, – აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა და დასძინა, რომ საპროტესტო აქციების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, დასაზუსტებელი მხოლოდ ფორმა დარჩა.

## განახლდება საპროტესტო ტალღა

**ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრი ეკა ბესელია საპროტესტო ტალღის განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფაქტს ადასტურებს.**

როგორც ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ერთიანი ეროვნული საბჭო გადაწყვეტს, პროტესტის რა ფორმას მიმართავს ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებით.

– ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ პროტესტი იქნება გაცილებით მწვავე, ვიდრე აქამდე ყოფილა. შიმშილობის აქციაში გამოიხატება ეს, კარვების გაშლასა თუ სხვა ფორმაში, ამას ჩვენ გადავწყვეტთ, – აღნიშნა ბესელიამ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

№ 42. ხუთშაბათი, 6 მარტი, 2008 წელი.

**დიდი „მისვლა-მოსვლაა“ ქართულ პოლიტიკაში. დიდი „სტუმრიანობა“ და „ჟრიამული“. არადა ძალიან ძნელია ამდენ „სტუმარში“ გაარკვიო, თუ ვის აქვს „კარგი სიმთვრალე“ და ვინ „აურევს პირველი ყანწის“ შემდეგ. ძნელია, მაგრამ მეტი გზა არ გვაქვს. უნდა გავარკვიოთ**



## დიდი „მისვლა-მოსვლა“

**სათაურში მოყვანილი ფრაზა იმ სიმღერიდან ავიღე, რომელსაც შესანიშნავად ასრულებს ნინო ჩხეიძე. ეს ფრაზა ზუსტად შეესაბამება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში განვითარებულ მოვლენებს.**

დიდი „მოძრაობაა“ ატეხილი ქართულ პოლიტიკაში. მოახლოებული არჩევნები საკმაოდ დიდ პერსპექტივებს უქადის 2000-ლარიანი ხელფასის მსურველ „პოლიტიკურად მოღვაწე“ ხალხს.

სამწუხაროდ, ამ მსუყე ხელფასისა და სხვა მრავალი პრივილეგიის „მომნიჭებელი სკამების“ რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია. ამიტომაც ატყდა ერთი რია-რია. ერთნი დამოუკიდებლად ეცდებიან პარლამენტარის მანდატებისკენ მიმავალ გზაზე უკვე დაწეული ბარიერის გადალახვას, მეორენი კი ე. წ. კონსტრუქციული დიალოგებისა და თანამშრომლობის სახით შეეცდებიან „ბავშვობის სურვილის“ ასრულებას.

მოდით, ვნახოთ, თუ „ვინ სად წავიდა“ და „ვინ აპირებს მის ადგილას მოსვლას“.

ჯერ რესპუბლიკელები წავიდნენ გაერთიანებული ოპოზიციიდან. მათმა წასვლამ და მათთან ირაკლი ბათიაშვილის მისვლამ მცირე გაურკვევლობა და არაერთგვაროვანი მოსაზრებები გააჩინა როგორც საზოგადოებაში, ასევე ოპოზიციურ სპექტრში.

ინგა გრიგოლიას „პრაიმტაიმში“ რესპუბლიკელები შეეცადნენ, აეხსნათ თავიანთი დამოუკიდებელი „თამაშის“ მიზეზები. ჰომეროსის მცოდნე ლევან ბერძენიშვილმა სცადა „ბლეხურად“ აეხსნა ის დადებითი მხარე, რასაც მათი გადაწყვეტილება მოუტანდა საქართველოს. მან კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ 2003 წლის შემდეგ საქართველოს მასზე ინტელექტუალური ადამიანი არ ჰყავს და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ოპოზიციის ბრძოლა ფეხბურთის გუნდის სტრატეგიით განგვიმარტა. მარცხენა ფლანგი ლეიბორისტებს „ჩააბარა“, მარჯვენა ფლანგი — მემარჯვენეებს, ხოლო თავისთვის ცენტრი აირჩია. მოკლედ რომ ვთქვა, ისე დახატა მთელი მატჩი, რომ ნაციონალების გუნდში ბოკერია და სამყურაშვილი კი არა, პელე და ბეკენბაუერიც რომ ყოფილიყვნენ, ტოტალიზატორის ნებისმიერი მოთამაშე 2-იანს შემოხაზავდა.

არადა, სულაც არ არის დიდი ტვინის ჭყლეტა საჭირო იმისთვის, რომ მიხვდე რესპუბლიკელების ცალკე თამაშის მიზეზს. ეს მიზეზი თავადვე დაასახელეს. მათივე განმარტებით ამ საპარლამენტო არჩევნებზე ქართველი ხალხი არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს ირჩევს, არამედ ირჩევს იმ კურსს, თუ როგორი განათლების სისტემა უნდა გვქონდეს, როგორი საგარეო პოლიტიკა უნდა გავატაროთ. მოკლედ რომ ვთქვა, ქართველი ხალხი ირჩევს სახელმწიფოს მოწყობის ფორმას (ამ შემთხვევაში ნამდვილად ვეთანხმები რესპუბლიკურ პარტიასძ, მაგრამ თუ გავიხსენებთ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ თავმჯდომარის, ანუ სოროსის წარმომადგენლის დავით დარჩიაშვილის მიერ ამ რამდენიმე თვის წინათ ჩატარებული იმ კვლევის შედეგებს, რომელიც საქართველოში არსებული შვიდი პოლიტიკური პარტიის საქმიანობასა და მათს შეხედულებებს შეეხებოდა, ვნახავთ, რომ რესპუბლიკური პარტია და ნაციონალური მოძრაობა აბსოლუტურად იდენტურნი არიან. ე.ი. მათ ერთნაირი ხედვა აქვთ სახელმწიფოს მოწყობის პრინციპებზე, განათლების სისტემაზე, საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციაზე დ. ა. შ. (ამ ფონზე მოსახლეობის ნაწილს ძალიან გაუკვირდა ირაკლი ბათიაშვილის მათ რიგებში გამოჩენა. თანაც თუ გავიხსენებთ იმ ფაქტსაც, რომ ქალბატონი თინა ხიდაშელი თავის დროზე ფაქტობრივად დაეთანხმა ირაკლი ბათიაშვილის დაპატიმრებას, გაკვირვების გრძნობა კიდევ უფრო გაიზარდაძ.

## „არ წახვიდე, თორემ ვიცი, სხვა მოვა, იმ სხვასთანაც ყველაფერი გამოვა“

დასკვნების გაკეთება თქვენთვის მომინდია.

ახლა ვნახოთ, თუ ვის აძლევდა ხელს გაერთიანებული ოპოზიციიდან რესპუბლიკური პარტიის გასვლა.

პირველ რიგში — ლეიბორისტებს.

საზოგადოების დიდმა ნაწილმა, რომელიც ოპოზიციას უფრო აქტიური ქმედებებისკენ მოუწოდებდა, რესპუბლიკელების გასვლა ოპოზიციის დაშლის წინაპირობად აღიქვა და ბუნებრივია, სიმპათიები ისევ შალვა ნათელაშვილისკენ გადაიხარა.

რესპუბლიკელების გასვლამ გაახარა გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალი „ერთკაციანი“ პარტიების „მეორე რანგის“ პარტმუშაკები. მათ ერთიან სიაში ოდნავ წინ „წაიჩოჩეს“.

ნაციონალურ მოძრაობას არც გაუხარდა და არც ეწყინა. მათ თავიანთი პრობლემებიც თავზე საყრელად აქვთ და ამიტომ ნამდვილად არ სცალიათ იმაზე საფიქრელად, თუ რა ხდება საქართველოში.

რესპუბლიკელების გასვლა კი არა, თავიანთი „სახეები“ სად წაიყვანონ, ისიც არ იციან. აქ კიდევ ეს მაჟორიტარები „გამოხტნენ“ თავიანთი მოთხოვნებით. მათ მხარი „მაჟორიტარობის“ მსურველმა კირკიტაძემაც აუბა. ისე, მათს გასაგონად ერთი ანეკდოტი მინდა მოვყვე: რესტორანში სხედან ქუთაისელები და ქეიფობენ. სიმღერაც წამოიწყეს. უცებ გვერდზე სუფრიდან ვიღაც ბრგე მამაკაცმა ძალიან ცუდი ბანი შეაწია. ქუთაისელებმა ერთხელ მოითმინეს, მეორედ მოითმინეს, მესამე სიმღერაზეც რომ აურია იმ კაცმა, ერთ-ერთი ქუთაისელი მივიდა და ჰკითხა, ვინ ხარ, ბიჭო, შენო. შტანგისტი ვარო, უპასუხა იმ უსმენომ. მერე მევედი მე და აგიწიე შტანგაო?

იმ შტანგისტის არ იყოს, როცა მაჟორიტარული წესით არჩევის კანონს ლებულობდით, მე მოვედი და პულტზე თითი დავაჭირე, თუ რა?

ცაგარეიშვილი და თორთლაძე პარტიული თანამდებობებიდან გადადგნენ. ოქრუაშვილის პარტიის გენერალური მდივანი ეკა ბესელია გახდა. ამ „ნაბიჯით“ ოქრუაშვილმა საკმაოდ დიდი პოლიტიკური წონა დაკარგა, სამაგიეროდ ბესელიას იმედი აქვს, რომ სიაში რამდენიმე საფეხურით წინ წაიწევს. იმ მეორე რანგის პარტმუშაკებს (ზემოთ რომ ვახსენეძ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, რადგან თორთლაძემ განაცხადა, გაერთიანებული ოპოზიციიდან არ მივდივართო.

დიდი „მისვლა-მოსვლაა“ ქართულ პოლიტიკაში. დიდი „სტუმრიანობა“ და „ჟრიამული“. არადა ძალიან ძნელია ამდენ „სტუმარში“ გაარკვიო, თუ ვის აქვს „კარგი სიმთვრალე“ და ვინ „აურევს პირველი ყანწის“ შემდეგ. ძნელია, მაგრამ მეტი გზა არ გვაქვს. უნდა გავარკვიოთ.

**გია გაბრიჭიძე**

№ 42. ხუთშაბათი, 6 მარტი, 2008 წელი.

## პარტიებსა და მოძრაობებში



## გია თორთლაძე: თუ ჩემი და ოქრუაშვილის პოლიტიკური შეხედულებები გაიყო, შესაძლოა, პარტიაც დავტოვო

### განხეთქილება თუ გადაჯგუფება?

**ოქრუაშვილის მოძრაობაში „ერთიანი საქართველოსთვის“ უკვე სამი დღეა, დაგეგმილი თუ დაუგეგმავი გადაჯგუფებაა, რამაც თავად ოპოზიციურ ჯგუფებშიც გაუგებრობა წარმოშვა.**

გავრცელებული ინფორმაციით, ოქრუაშვილი საკუთარი პარტიის ლიდერთა ერთი ნაწილის მუშაობით უკმაყოფილო იყო და პარტიული კადრებიც სწორედ მისი დავალებით, პირდაპირი სატელეფონო დირექტივებით შეიცვალა. თუმცა ამ ინფორმაციას არ ადასტურებს თავად პარტიის ყოფილი თავმჯდომარე გია თორთლაძე, რომელმაც თანამდებობა სამი დღის წინათ დატოვა. მისი განმარტებით, ჯერჯერობით, მხოლოდ თანამდებობიდან წავიდა და არა პარტიიდან, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ თუ პოლიტიკურ შეხედულებას შეიცვლის, უახლოეს მომავალში, შესაძლოა, პარტიაც დატოვოს.

**„ამ ეტაპზე მხოლოდ გენერალური მდივნის პოსტი დავტოვე, რადგან ოქრუაშვილის დაპატიმრების გამო დროებით ვიყავი დანიშნული. მის აქ არყოფნის პერიოდში დავალებული მქონდა, რომ პარტია რეგისტრაციაში გამეტარებინა და დროებით მეხელმძღვანელა. თუმცა იმთავითვე ითქვა, რომ როგორც კი ოქრუაშვილი გათავისუფლდებოდა და პარტიის ხელმძღვანელობას შეძლებდა, თავის თანამდებობას მაშინვე დაუბრუნდებოდა. ოქრუაშვილის პარტიის მართვა უკვე თავისუფლად შეუძლია ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით და ა.შ. სწორედ ეს არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც თანამდებობა დავტოვე.**

**რაც შეეხება პარტიაში დარჩენას, ჯერჯერობით ვრჩები, რადგან სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განვაგრძო. თუმცა ვნახოთ, რა მოხდება მომავალში. თუ პოლიტიკური შეხედულება შემეცვალა, არ გამოვრიცხავ, პარტიის დატოვებას“.**

გია თორთლაძის განმარტებით, მისი თანამდებობიდან გადადგომა და გია ცაგარეიშვილის მიერ პარტიის დატოვება ერთმანეთს დაემთხვა და სხვა არაფერი.

რაც შეეხება პარტიის კიდევ ერთი წევრის ძეთი მახარაშვილის წასვლას, მას ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის წინათ მიუღია და მხოლოდ ახლა განაცხადა.

**„როცა ადამიანი საერთოდ მიდის პოლიტიკიდან, ეს პროტესტს სულაც არ გულისხმობს. თუ ის სხვა პოლიტიკურ გუნდს შეუერთდებოდა, ეჭვის საბაბიც მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა.**

**რაც შეეხება, გია ცაგარეიშვილს, მას პოლიტიკური მდივნის პოსტი ეჭირა და ჩემი წამოსვლის შემდეგ ეს პოსტიც დასატოვებელი იყო, რადგან ახლა პოლიტიკური მდივნის პოსტსაც თავმჯდომარე შეითვისებს და ყველა პოლიტიკურ საკითხსაც ის გადაწყვეტს.**

**ჩვენი პოსტის დატოვება და ცაგარეიშვილისა და მახარაშვილის პარტიიდან გასვლა ერთმანეთს დაემთხვა და მეტი არაფერი“,** — აცხადებს გია თორთლაძე.

გავრცელებული ინფორმაციით, ნანა ლეჟავასა და ეკა ბესელიას შორის რაღაც განხეთქილება მოხდა, თუმცა გია თორთლაძემ ეს ფაქტი კატეგორიულად უარყო.

**„ეს ტყუილია. არანაირ განხეთქილება არ მომხდარა. ამასთან, ნანა ლეჟავა საქართველოში უკვე ერთი კვირაა არ იმყოფება. ის საფრანგეთშია და უახლოეს დღეებში დაბრუნდება“.**

პარტიაში სხვა ცვლილებების შესახებ გია თორთლაძე არ ლაპარაკობს, თუმცა პარტიის ზოგიერთი წევრი უკვე ახალი, მაგრამ ცნობილი სახეების მატებაზე ალაპარაკდა. უცნობია, როდის შეძლებს ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში დაბრუნებას. პარტიას ის, როგორც ვთქვით, ჯერჯერობით, საფრანგეთიდან უხელმძღვანელებს.

**სოფიო გოგლიძე**

● მაინც სად პოულობს ქ-ნი ინგა ასეთ „პუბლიკას“ ან „რუსთავი-2“ ასეთ წამყვანს?



◉ ერთი „თოქ-შოუს“ ირგვლივ

***დღევანდელ ტელეინფორმაციულ ვაკუუმში, რომელში ყოფნაც ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობას მიუსაჯა, ერთადერთი სარკმელი „ტელეიმედიდან“ „რუსთავი-2“-ში გადაბირებული ჟურნალისტის ინგა გრიგოლიას „პრაიმტაიმია“ („კავკასია“ თბილისის არეალს ვერ სცილდება). მაგრამ ქ-ნი ინგა, თავისი უბოდიშო შეკითხვებით, ხშირად მეტისმეტად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს თავის რესპონდენტებს. რა უშავდა, ამას რომ მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ აკეთებდეს — სწორედ ამ მიზნით დაუშვეს სახელისუფლებო არხზე მისი „თოქ-შოუ“. თამამი წამყვანი კი ზოგჯერ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ერჩის.***

# „პრაიმტაიმის“ შუქ-ჩრდილები

მაგალითად, 28 თებერვლის „პრაიმტაიმში“ ქ-ნმა ინგამ ორ ცეცხლშუა ჩააგდო „რეინტეგრაციის“ მინისტრი თემურ იაკობაშვილი. საქმე ეხებოდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ტელეარხ „მზის“ ჟურნალისტის მალხაზ ბასილაიას დაკავების პასუხად სააკაშვილის „სპეცოპერაციით“ დამუქრების მიზანშეწონილობისა თუ ადეკვატურობის განსჯას და ბ-ნი თემური ცივ უარზე დადგა, კონკრეტული კომენტარი გაეკეთებინა „პრეზიდენტის“ განცხადებისთვის. ქ-მა ინგამ რამდენი არ უტრიალა მას, სპეცოპერაციის იდეა მოეწონებინა ან დაეგმო, მაგრამ ვერაფერს გახდა. მან ჯიუტად არ დაარქვა საგნებს თავისი სახელი და დიპლომატიურად აღნიშნა, კონფლიქტი მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდესო.

თემურ იაკობაშვილს ყველაფერი რომ წაართვა, ჭკუას ვერ წაართმევ. რეინტეგრაციაზე აღარ არის საუბარი, სპეცოპერაციის იდეის ირიბი გამართლებაც კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ აფხაზეთის ხელისუფლება, დე ფაქტო დაუძახე, აღარასოდეს დალაპარაკებოდა მას. მეორე მხრივ, კარგი ბიჭი ხარ და, გაემიჯნე პრეზიდენტს! ამიტომ იყო, რომ საწყალი მინისტრი ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით, რომ არც მწვადი დაეწვა, არც შამფური.

თუ სპეცოპერაციით ჟურნალისტის განთავისუფლება შესაძლებელია, ბარემ აფხაზეთი გავანთავისუფლოთ და აღარც რეინტეგრაციის სამინისტრო დაგვჭირდება და აღარც თემურ იაკობაშვილი.

ამასთან, სპეცოპერაცია მოულოდნელობის ფაქტორს გულისხმობს, „სპეცოპერაცია“ და „მუქარა“ კი ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო ბ-ნ თემურს: წვრილმანი კონფლიქტების მოსაგვარებლად ერთადერთი გონივრული გზა მოლაპარაკებაა, სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებისა თუ ხალხების რეინტეგრაციისათვის კი — საერთო გაგების მიღწევა. საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლებისთვის მალხაზ ბასილაია ჟურნალისტია, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისათვის — სახელმწიფო ტელევიზიის წარმომადგენელი, რაც, მათი გაგებით, „უცხო სახელმწიფოს“ აგენტი თუ არა, სულ ცოტა პროპაგანდისტი მაინც არის. პროპაგანდისტსა და ჟურნალისტს შორის კი, განსხვავებაა. აი, „იმედის“ ჟურნალისტი რომ ყოფილიყო, შესაძლოა უფრო საფუძვლიანი არგუმენტი გვქონოდა. ამიტომ არის აუცილებელი მედიის, როგორც „მეოთხე ხელისუფლების“, აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ფორმალურად მაინც გამიჯვნა. რაც შეეხება საერთო გაგებას, მას ისევ და ისევ მოლაპარაკება სჭირდება, ოღონდ, არა ფორმალური, არამედ გულწრფელი და გულახდილი. ამისთვის კი, ბ-ნ თემურს უნდა ვაცალოთ მუშაობა და თავი დავანებოთ სპეცოპერაციებსა და ინტრიგებს.

კარგი, „პრეზიდენტი“ ვერ ხვდება, რომ მუშაობაში ხელს უშლის თავის მინისტრს, მაგრამ ქ-ნი ინგა ხომ უნდა ხვდებოდეს, რომ ორ ცეცხლშუა აყენებს რეინტეგრაციის მინისტრს?! ქ-ნი ინგასი რა მოგახსენოთ, მაგრამ ბ-ნი მიხეილი ყველაფერს მშვენივრად ხვდება: არაპროგნოზირებადი საპარლამენტო არჩევნების წინ, მისთვის, უბრალოდ, რეინტეგრაციაზე უფრო მთავარია საპარლამენტო ძალაუფლების შენარჩუნება და მზად არის, რომ, აფხაზეთის რეგიონში ვითარების ხელოვნურად გამწვავებით, დააცხროს მოსახლეობის ანტისახელისუფლო საარჩევნო განწყობა.

„თოქ-შოუს“ მეორე სახელისუფლო სტუმარი, „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის“ თავმჯდომარე შოთა მალაშხია, პირიქით, თამამად და გაბედულად უჭერდა მხარს სპეცოპერაციის პრეზიდენტულ იდეას. მას კონკრეტულად არაფრის გაკეთება არ ავალია და ვერც ვერაფერს გააფუჭებს. თუ გააფუჭებს, აქ მოხსნიან, იქ გადაიყვანენ. თემურ იაკობაშვილმა კი უშუალოდ მოლაპარაკება უნდა აწარმოოს დე ფაქტო ხელისუფლებთან. უკეთუ მათი „რეინტეგრირება“ ვერ მოახერხა, მოუწევს დაბრუნდეს იქ, საიდანაც მოვიდა. მინისტრობა ერთჯერადი დახმარება იყო მისთვის „ეგზიტპოლისათვის“, მასაც ზოგიერთივით სამუდამო კმაყოფაზე ხომ ვერ აიყვანს პრეზიდენტი?! ამიტომ ბ-ნი თემური სერიოზულად არის განწყობილი სამსახურისადმი, რომლის პერსპექტივისა ისევე სჯერა მას, როგორც ბ-ნ შოთას, მაგრამ სურვილი აქვს დიდხანს გაგრძელდეს „რეინტეგრაციის“ პროცესი, რათა სამსახური შეინარჩუნოს. ბ-ნი მიხეილი კი, თითქოს ჯინზე, სარმას უდებს. ყველა ყველა, მაგრამ ეს ინგა გრიგოლია რაღას გადაეკიდა!

ისე, ქ-ნი ინგა მადლს იზამდა, თემურ იაკობაშვილის ნაცვლად, თოქშშ... „თოქ-შოუში“ პირადად სპეცოპერაციის იდეის ავტორი, ბ-ნი მიხეილ სააკაშვილი მიეწვია. მაგრამ ინგა გრიგოლია რის ინგა გრიგოლიაა, რომ სიურპრიზი არ შემოგვთავაზოს! ისიც ადგა და სპეცოპერაციასთან არაფერ შუაში მყოფი ბ-ნი ლევან გაჩეჩილაძე მოიწვია!

თუმცა სპეცოპერაციასთან თუ არა, არჩევნებთან ხომ შუაშია. დღეს ყველაფერი არჩევნების გარშემო ტრიალებს, მათ შორის სპეცოპერაციაც, არჩევნებში მთავარი სამიზნე კი, სუყველა რომ შემოეცალოს, მაინც ლევან გაჩეჩილაძეა. ქ-ნმა ინგამ ბ-ნ ლევანს ხან ისე შეუტრიალა კითხვა, ხან ასე, რომ წინასაარჩევნოდ თითზე დასახვევი რამე დაეცდენინებინა, მაგრამ რესპონდენტს ღირსეულად ეჭირა თავი და ყველა კითხვაზე სათანადოდ პასუხობდა. ბოლოს, თვითონ რომ ვერაფერს გახდა, ტრიბუნაზე სპეციალურად ჩასაფრებულ ლოყებღაჟღაჟა სუბიექტს გადააწოდა მიკროფონი. მან, მეტი რომ ველარაფერი მოიფიქრა: 7 ნოემბერს, ნაშიმშილარს ხელკეტს რომ გირტყამდნენ, რატომ შეიგინეო. მეორე ტრიბუნიდან ახალგაზრდამ გონებამახვილურად მიუგო: გინება თქვენს „ჩამრეცხავ“ და „გამჩმახებელ“ პრეზიდენტთან მოიკითხეთო. ლოყებღაჟღაჟა დაიბნა, აღარ იცოდა, „გაჩმახება“ გაემართლებინა თუ პრეზიდენტი.

თოქშშშ... „თოქ-შოუს“ წამყვანმა ახლა პირველსავე ტრიბუნაზე მჯდომ ხმელ-ხმელ არსებას მოუხმო საშველად. იმასაც, ისევე როგორც ლოყებღაჟღაჟას და თვითონ ქ-ნ ინგასაც, დაავიწყდა „მზის“ ჟურნალისტიც, სააკაშვილის სპეცოპერაციაც და „თოქ-შოუს“ თემაც და ბ-ნ ლევანს დაუწყო ახირება...

მაინც სად პოულობს ქ-ნი ინგა ასეთ „პუბლიკას“ ან „რუსთავი-2“ ასეთ წამყვანს?

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე

◉ თანადგომა

# დაუბრუნეთ შვილი დედას!

## უკრაინაში მცხოვრები ქართველი და აფხაზი დედები მალხაზ ბასილაიას დედას სოლიდარობას უცხადებენ

***რედაქციაში გვესტუმრა ოჩამჩირიდან დევნილი ქალბატონი მადონა მებონია, რომელიც უკრაინის ქალაქ სუმში ცხოვრობს და ქართული სათვისტომოს კულტურულ ცენტრ „მზიურს“ ხელმძღვანელობს. როგორც მან გვითხრა, უკრაინის ქართული სათვისტომოდან დაუკავშირდნენ ქართველი და აფხაზი დედების სახელით და სთხოვეს, ქართულ პრესაში გაეხმოვანებინა მათი თანადგომისა და ნუგეშის სიტყვები აფხაზეთში დაკავებული ქართველი ჟურნალისტის მალხაზ ბასილაიას დედისადმი: ჩვენც დედები ვართ და განვიცდით. გვესმის, რა სატანჯველში იმყოფება ახლა პატიმრობაში მყოფი შვილის დედა, ამიტომ ვთხოვთ აფხაზეთის, ასევე საქართველოს ხელისუფლებას, რომ რამე იღონონ ჟურნალისტის გასათავისუფლებლადო.***

ქალბატონი მადონა თვითალიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს მიმართავს:

— ბატონო სერგო, იქნებ სადმე წააწყდეთ ამ გაზეთს და ეს სიტყვებიც წაიკითხოთ. ჩვენ აფხაზეთში მეზობლები ვიყავით, თითქმის ყოველდღე გხვდებოდით თქვენ და თქვენს მეუღლეს — მარინა შონიას, ჩვენი შვილები თანატოლები არიან და ერთად გაიზარდნენ. თქვენ ყოველთვის განსაკუთრებულ სითბოს იჩენდით, კეთილგანწყობილი იყავით ქართველებისადმი. იქნებ ის სიყვარული და პატივისცემა კვლავ გამოავლინოთ და დაუბრუნოთ შვილი თავის დედას!

ქალბატონმა მადონამ თქვა, რომ უკრაინაში 45 ათასი ქართველი ცხოვრობს, აქედან 18 ათასი აფხაზეთიდან და ოსეთიდან ლტოლვილია. ქართველებს სათვისტომოები აქვთ და ერთმანეთს ხშირად უკავშირდებიან, მაგრამ უმნიშვნელოვანესია ის, რომ არანაკლებ თბილი ურთიერთობა აქვთ იქ მცხოვრებ აფხაზებთან, რომელთაგან ბევრი უკრაინაში საქართველოს მოქალაქის სტატუსით ცხოვრობს. ქალაქ სუმში 1997 წლიდან ფუნქციონირებს დავით გურამიშვილის სახელობის საკვირაო სკოლა, სადაც 100-მდე ბავშვიდან ბევრი აფხაზია, ასევე არიან დაღესტანელი, ჩეჩენი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს გეოგრაფიას, ისტორიას, რელიგიას. მართალია, მუსლიმანი ბავშვები რელიგიის გაკვეთილს არ ესწრებიან, მაგრამ ბევრი აფხაზი ქრისტიანობის მიმდევარია. როგორც ქალბატონმა მადონამ თქვა, კიევში მცხოვრებ ქართველებთან ერთად მუსლიმანი აფხაზებიც ქრისტიანებად მოინათლნენ 1999 წ.

ჩვენ ერთმანეთთან მხოლოდ სიყვარული გვაკავშირებს, — გვიყვება სათვისტომოს ხელმძღვანელი, — ლტოლვილობის მერე ოცამდე ქართულ-აფხაზური ოჯახი შეიქმნა ქალაქ სუმში; ერთ-ერთ კონფერენციაზე ჟურნალისტმა აფხაზებს ჰკითხა, ქართველები გასაგებია, მაგრამ თქვენ რატომღა არ ცხოვრობთ აფხაზეთშიო. მათ უპასუხეს, რომ ჩვენ იქ ქართველებთან ერთად დავიბადეთ და მათთან ერთად დავბრუნდებითო. მეტიც, როცა ერთ უხუცეს აფხაზს საქართველოდან გაგზავნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მივართვი, მან გულში ჩაიკრა და ქალივით აქვითინდა, — იხსენებს ქალბატონი. მან აგვიხსნა, რომ უკრაინაში ლტოლვილი ქართველები აფხაზებთან თანამშრომლობენ, ერთობლივ ღონისძიებებს, დისკუსიებს მართავენ და ბევრ რამეს აკეთებენ იმისათვის, რომ უცხოეთში მცხოვრებმა ლტოლვილებმა არ დაივიწყონ ტრადიციები, ისტორია, კავკასიური კულტურა.

**ქალბატონმა მადონამ დამშვიდობებისას დასძინა: უკრაინის მთავრობა ყველაფერს აკეთებს ჩვენს დასახმარებლად, მაგრამ მაინც ვერ ვეგუებით ემიგრანტულ ცხოვრებას. იმედია, ერთ დღეს დავბრუნდებით ჩვენს მიწაზე, აფხაზებთან და ოსებთან ერთად. კონფლიქტი დამთავრდება... და არ იქნება ეთნიკურ ნიადაგზე დაკავებული თუ დატყვევებული ქართველი, აფხაზი ან ოსი.**

**თეა მოსია**

**ჩვენც მხოლოდ ჩვენი ხალხის ბუნებისა და ტრადიციის შესაბამისი ქართული ეკონომიკა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა გვჭირდება. ამ საქმეში უცხოელი კონსულტანტების რეკომენდაციები და ბალცეროვიჩები დამღუპველია, ვერც ბასილიები უშველიან ჩვენს განადგურებულ ეკონომიკას**



## ინფორმაცია

### რესპუბლიკელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი

**რესპუბლიკურ პარტიაში, მაჟორიტარებთან დაკავშირებით ხელისუფლების გადაწყვეტილების მიუხედავად, პესიმისტურ განწყობაზე არ არიან და სწორედ მოქმედების შემთხვევაში გამარჯვებაშიც არიან დარწმუნებული.**

როგორც „რესპუბლიკელმა“ დეპუტატმა დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, მაჟორიტარული არჩევნების რეგიონული პროპორციული სისტემით ჩატარება კარგი იქნებოდა პოლიტიკური სისტემის გაუმჯობესებისთვის და ეს თავად „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“. მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობა“ უფრო კარგად ჩამოყალიბდებოდა, როგორც პარტია და არ იქნებოდა მხოლოდ სახელმწიფო ნომენკლატურა.

რაც შეეხებათ მაჟორიტარებს, დეპუტატი ამბობს, რომ მაჟორიტარები არ არიან პოლიტიკოსები, არამედ არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ რაიონში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ და მათ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობაც სჭირდებათ. შესაბამისად, ზურაბიშვილის განცხადებით, მაჟორიტარები არ არიან პოლიტიკურად აქტიური ნაწილი და ისინი დამოკიდებული არიან პოლიტიკურ კონიუნქტურაზე.

დავით ზურაბიშვილი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებამ მაჟორიტარული არჩევნების წესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მხოლოდ წარმატების მოპოვების მიზნით მიიღო, რადგან დარწმუნებული არიან, რომ აღარ აქვთ ხალხის მხარდაჭერა და პროპორციული სისტემით არჩევნების მოგება გაუჭირდებოდათ.

— ნაციონალები ფიქრობენ, რომ მაჟორიტარებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით უფრო მეტი წარმატება ექნებათ, თუმცა თუ ოპოზიცია კოორდინირებულად იმოქმედებს და აგრესიულ წინასაარჩევნო კამპანიას წარმართავს, მაჟორიტარულ არჩევნებში დიდ წარმატებას მოიპოვებს. ოპოზიციამ თითო რაიონში შეთანხმებულად უნდა დააყენოს თითო კანდიდატი. ასეთ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, თითქმის ყველა რაიონში ოპოზიციის კანდიდატი შეძლებს გამარჯვების მოპოვებას. შესაბამისად, „ნაციონალურ მოძრაობას“ მომავალ პარლამენტში უმრავლესობის არანაირი შანსი აღარ ექნება, — აღნიშნა ზურაბიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

### სამართლებრივი ძალა არ გააჩნია

**პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი აცხადებს, რომ სამხრეთ-ოსეთის დე ფაქტო პარლამენტის რეზოლუციას არავითარი სამართლებრივი ძალა არ გააჩნია და დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან ამ რეზოლუციის მიღება გარკვეული ძალების მიერ მორიგი მითითების შესრულებას წარმოდგენს.**

— სეპარატისტები გარკვეული ძალებისაგან მითითებებს იღებენ და ამ მითითებებს ითვალისწინებენ. ეს რეზოლუციაც მორიგი ჟესტია, რომელსაც ფორმალური ხასიათი აქვს, — განაცხადა კოტე გაბაშვილმა.

**ხი-ეიჩ-ენი**

## საფიქრალი



# ანტიეროვნული ეკონომიკა

**ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს შენება დავიწყეთ და ყველაფერი დავანგრიეთ, რაც ადრე აშენებული გვქონდა. რადგან სოციალისტური ეკონომიკა თავიდან მოვიშორეთ, ჩვენი საბჭოურ პერიოდში აღზრდილი ეკონომისტები დემოკრატიული „საბაზრო ეკონომიკის“ კანონების დაუფლებას შეუდგნენ და სანამ რამეს შეისწავლიან (გადასწავლების პროცესი კი საკმაოდ რთული გამოდგაძ, ამიტომ ქვეყანა დასავლეთელი „რეკომენდატორების“ და მათი „ჰუმანიტარული“ დახმარებების იმედად დარჩა. სასწრაფოდ გავრცელდა აზრი, რომ ჰუმანიტარული დახმარების გარეშე ჩვენ დავიღუპებით. დღევანდელი გაჭირვების პირობებში ალბათ ძნელია საწინააღმდეგო აზრის არსებობა, მაგრამ იმის გააზრება, თუ რას მოგვიტანდა პურითა და მედიკამენტებით დატვირთული ეშელონები, ძნელი აღმოჩნდა.**

1991 წელს ერთი ამერიკული გაზეთი წერდა, თუ როგორ დაღუპა ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ჰუმანიტარულმა დახმარებებმა აფრიკის ქვეყნები. სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც ევროპელმა კოლონიზატორებმა აფრიკის კონტინენტი დატოვეს, მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა. წარმოქმნის პროცესს კი ძველის ნგრევა და ეკონომიკური გაჭირვება მოჰყვა. საჭირო გახდა მათი შველა და ამერიკისა და ევროპის ქვეყნებმა (მათ შორის საბჭოთა კავშირმაძ, ჰუმანური თუ პოლიტიკური მიზნით, დახმარების ფრონტი გაშალეს. დახმარების პროგრამა კი ძირითადად აფრიკის ქვეყნების საკვებითა და მედიკამენტებით მომარაგებას მოიცავდა.

გამოირკვა, რომ აფრიკის ამ ახლადშექმნილ ქვეყნებში 10 წლის განმავლობაში თითქმის 90 პროცენტით შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ნაყოფიერი მიწა უდაბნოდ დაიკავა. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავდა, ევროპელების მიერ მიტოვებულ რანჩოებზე მუშაობა ჩაკვდა. თუ ადრე ევროპელები ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ ემუშავა და პროდუქცია შექმნა, კოლონიზატორების წასვლის შემდეგ უფასო პურის მოლოდინში მოსახლეობა გაზარმაცდა, აქტიურ საქმიანობას ჩამოცილდა. ამავე დროს, ჰუმანიტარული დახმარების თითქმის 30 პროცენტი ადგილობრივი ბელადების ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც ვილები აიშენეს ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე. ამდენად, პირველ რიგში სწორედ ისინი აღმოჩნდნენ დაინტერესებული ჰუმანიტარული დახმარებების არსებობით და ხელსაც კი უშლიდნენ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, რათა მათთვის ხელსაყრელი ეს დახმარება არ შემცირებულიყო.

მაგრამ, ჰუმანიტარული დახმარება რომც არ შემცირდეს, ქვეყნის კრიზისული მდგომარეობა მაინც გამწვავდება, რადგან პურით დახმარება ამ ქვეყანაში კვების პროდუქტების საკუთარი წარმოების შემცირებას იწვევს და აუცილებლად იწყება „შიმშილის ერა“. ამისი მოწმე ყველანი ვართ: ვხედავთ, თუ შიმშილით როგორ იღუპება მილიონობით აფრიკელი.

როგორ ჰგავს ეს სურათი იმას, რაც ჩვენ დაგვემართა. ცხადია, ჩვენთან ჰუმანიტარული დახმარების ნახევარზე მეტი ჩვენი „ბელადების“ და მათი ახლობლების ხელში აღმოჩნდა.

აფრიკის ქვეყნების მაგალითი (ჩვენც ხომ განვითარებადი თუ განსავითარებადი ქვეყანა გაგვხადესძნათლად გვიჩვენებს, თუ რატომ სურთ ჰუმანიტარული დახმარების ქართველ მესვეურებს საკუთარი ქვეყნის წარმოების დაცემა. თუ საკუთარი საწარმოო რესურსები ამოქმედდა, მაშინ შეიძლება უცხოური დახმარება შემცირდეს, ან მათი შავ ბაზარზე გაყიდვის ფასი დაეცეს. ამიტომ ურჩევნიათ საკვების შემოტანა, ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანას და საწვავით, სასუქით თუ შხამქიმიკატებით უზრუნველყოფას. მიწის პრივატიზაციამ ტრაქტორი თოხით შეცვალა და დიდი მოსავლის აღების იმედი აღარ უნდა გვქონდეს. გლეხი კიდევ უფრო გაღატაკდება და იძულებული გახდება გაყიდოს მიწა და ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქს მიაშუროს. ამ პროცესს ხელს უწყობს განათლების რეფორმის შედეგად სკოლების დახურვა და აფხაზეთიდან ლტოლვილებს სოფლელი ლტოლვილები ემატება.

სამაგიეროდ, ქალაქის მოსახლეობას დაურიგდა მიწის ნაკვეთი. ის მოსწყდა თავის ძირითად საქმიანობას და ნაკვეთზე გადაინაცვლა, რომ შიმშილს თავი დააღწიოს. მისი საქმიანობა არც იქაა ეფექტიანი და აღარც იმედი აქვს, რომ მის მიერ მოწეულ მოსავალს ვინმე არ მოპარავს, ან ძალით არ წაართმევს...

თხუთმეტიოდე წლის წინათ ამერიკაში მცხოვრებმა რუსმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ლეონტიევმა ტელევიზიის კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რომელ ეკონომიკურ პოლიტიკას ურჩევდა რუსეთს — ამერიკულს, ევროპულს თუ იაპონურს, უპასუხა: **„მე იაპონურის მომხრე ვარ, მაგრამ მისი განხორციელებისთვის რუსეთში მხოლოდ იაპონელები უნდა ცხოვრობდნენ!“** ამაზე ჭკვიანური ეკონომისტისაგან არაფერი გამიგია.

ჩვენც მხოლოდ ჩვენი ხალხის ბუნებისა და ტრადიციის შესაბამისი ქართული ეკონომიკა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა გვჭირდება. ამ საქმეში უცხოელი კონსულტანტების რეკომენდაციები და ბალცეროვიჩები დამღუპველია, ვერც ბასილიები უშველიან ჩვენს განადგურებულ ეკონომიკას. დემოკრატიული განვითარების ჩვენი გზა ჯერ კიდევ მოსაძებნია და ამ გზის ძიებაში უნდა გავითვალისწინოთ როგორც ქართველი კაცის მენტალიტეტი, ისე მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები.

სამწუხაროდ, ქართველი კაცის მენტალიტეტი ვაჭრუკანას შეფერილობას იღებს, საუკუნოვან ტრადიციებს კი დასავლეთის ქარიშხალმა დაუბერა...

ეკონომიკურად სწრაფად განვითარებადი ქვეყნის მაგალითად ხშირად სამხრეთ კორეა მოჰყავთ. დასავლეთის დახმარებით ეს ქვეყანა მართლაც მომძლავრდა, მაგრამ შეგიძლიათ გაიხსენოთ ამ ქვეყანაში გადაღებული ფილმი, ან ვინმე დიდი ხელოვანი, ან გამოჩენილი მეცნიერი? ეს ქვეყანა მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების დაკვეთების ბრწყინვალე შემსრულებელია. მათი ეკონომიკური წარმატებების ნაყოფი ძირითადად ამერიკელი ინვესტორების მფლობელობაშია. სწორედ მათ შეაქვთ ახალი ტექნოლოგიები და იაფი მუშახელის გამოყენებით საკმაო მოგებასაც ნახულობენ. ძნელია საქართველო ამ გზას დაადგეს, რადგან ქართველს თავად უნდა უფროსობა, პრეზიდენტობა და ის „ჭანჭიკის მომჭერად“ არ გამოდგება. ქართველი „იაფი მუშახელი“ ვერ გახდება, რადგან ჩვენ არა გვაქვს იაპონელის, კორეელის ან ჩინელის მსგავსი მენტალიტეტი. ჩვენ უფრო ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებს ვგავართ, იმ ქვეყნებისას, რომლებიც ამერიკულმა ინვესტიციებმა მთლიანად დააკაბალა. ჩვენ არც გერმანელებს და ფინელებს ვგავართ, მათი ეკონომიკური განვითარების გზამ რომ გვიშველოს. ევროპელთაგან ალბათ უფრო იტალიელებს ჩამოვგავართ, მაგრამ ისე დავინგერით, რომ „განვითარებადი ქვეყანა“ გავხდით და ნიგერიასა და ზამბიას ამოვუდექით გვერდში.

ტყუილია იმის იმედზე ყოფნა, რომ თუ ჩვენი პროდუქციის ხარისხი დასავლეთში წარმოებული პროდუქციის ხარისხს მიუახლოვდა, დასავლეთი თავის ბაზარზე შეგვიშვებს. გვქონდა რუსეთის მშვენიერი ბაზარი და დავკარგეთ. მარტო ჩვენი კონიაკის 97 პროცენტი რუსეთში იყიდებოდა. ჩაი, ციტრუსები, ბორჯომი, თუნდაც მარგანეცი, მეტალურგიული ქარხნის ნაწარმი და მრავალი სხვა, რუსეთში გადიოდა. დასავლეთს კი იმდენი ჭარბი გაუსაღებელი პროდუქცია აქვს დაგროვილი, რომ თვითონ ჩვენთან ეძებს გასაღების ბაზარს და ნახულობს კიდეც. უცხოელები აქ მხოლოდ ფულის საკეთებლად ჩამოდიან და საკმაო წარმატებითაც. მილიონებს სესხად გვაძლევენ და თავიანთ, უკვე მოძველებულ და ამორტიზებულ დანადგარებს ჩვენზე ასაღებენ. ჩვენ კი მათ მოსამსახურე ერად უნდა გადავიქცეთ, ან „იაფი მუშახელი“ გავხდეთ, მაგრამ ამასაც ნამდვილად ვერ შევძლებთ, რადგან არც კორეელები ვართ და არც ჩინელები.

იქნებ ჰოლანდიის გზაა ჩვენი ხსნა?

იმაზე, რომ ჰოლანდიელი ნიჭით ქართველს არაფრით ჩამოუვარდება, ალბათ რემბრანტისა და ვან გოგის სახელები მეტყველებს. თუ გავიხსენებთ, რომ ამ პატარა ქვეყანას გასული საუკუნის დასაწყისში 5 ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკოსი ჰყავდა, ადვილად ვიგრძნობთ ჰოლანდიელთა ინტელექტუალურ დონეს. მაგრამ დღეს დაეცა არა მარტო მეცნიერების დონე ჰოლანდიაში, არამედ განადგურდა კულტურაც. რემბრანტის ქვეყანას დღეს კინოსტუდიაც კი არ გააჩნია, ამსტერდამის საოპერო თეატრი საკუთარი საოპერო დასის გარეშეა. დღეს თანამედროვე ჰოლანდიელ პოეტს კი არა, მხატვარსაც კი ვერ გაიხსენებთ. ჰოლანდია სურინამელი ზანგებით და თურქებით გაივსო და ნიჭიერი ჰოლანდიელი ძირითადად ამერიკაში გადაიხვეწა. სამაგიეროდ, საკუთარი ქვეყანა ნარკომანებით გაავსო და სექსის ბიზნესი ააყვავა. ნუთუ მის ბედს უნდა შენატროდეს ქართველი?

ქართველს იმედად ლატარიებილა შემორჩა. სამწუხაროდ, თავის გადარჩენის იმედი ლოტოებსა და კაზინოებს ვანდეთ და თავის მოსატყუებლად და საკუთარი ოჯახების გასანადგურებლად გულმოდგინეთ ვეძებთ პრიზებს „კოკა-კოლას“ ბოთლის თავსახურებში.

ხალხის ოპტიმიზმიც მხოლოდ ლატარიებს ემყარება, რადგან მთავრობის იმედიც გადაეწურა და საკუთარი თავისაც. საკვების, სინათლისა და სითბოს პრობლემებსაც გადაჭრის, ბედმა თუ გაუღიმა და დიდი მოგება შეახვედრა განგებამ... იქნებ ასე მაინც გადაურჩეს ჩვენი გაღატაკებული ხალხის თუნდაც მცირე ნაწილი შიმშილით სიკვდილს...

ამერიკელებთან თუ ევროპელებთან საუბრისას არაერთგზის მითქვამს, რომ **„ჩვენთვის წიგნით დახმარება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე პურით, რადგან პურით დახმარების შემთხვევაში ჩვენ თქვენი სარჩენი ხალხი გავხდებით, ხოლო წიგნით დახმარებით შეიძლება პარტნიორობაც გაგიწიოთ“.**

მათ კი ჩვენთან პარტნიორობა რაში აწყობთ, როცა „ბანანის რესპუბლიკად“ გვთვლიან და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჭკუას გვარიგებენ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორ ვიფიქროთ და ფული რაში დავხარჯოთ, ვისთან ვიმეგობროთ და როგორ მოვაწყოთ ჩვენი ქვეყანა. კრედიტებითაც უხვად გვამარაგებენ, რომ ამ ჭაობიდან მომავალმა თაობებმაც ვერ მოახერხოს ამოსვლა. მთავარია, რომ საქართველო მათ ბაზრად გადაიქცეს და რუსეთის ის ბაზარიც დაგვატოვებინეს, რაც ადრე გვქონდა დაკავებული. ძირითადად აქეთკენაა მიმართული მსოფლიო ბანკის „რეკომენდაციები“. ჩვენთვის მხოლოდ არაკვალიფიცირებული შრომაა გამიზნული და ამისათვის ინტელიგენციის, განათლებისა და კულტურის განადგურებაა საჭირო.

იხ. 6 გვ.

№ 42. ხუთშაბათი, 6 მარტი, 2008 წელი.

# პრობლემა

ქვეყანა შიშმა შეიპყრო, თუმცა თქვი, რაც გინდა, ამას არც აზრი აქვს და არც რაიმე შედეგი მოჰყვება. ჩვენი დემოკრატიაც მხოლოდ ამით შემოიფარგლა. „სიტყვის თავისუფლებას“ ალბათ მივაღწიეთ კიდეც, მაგრამ ნებისმიერი ქმედება სასიკვდილოდ საშიშია



საფიქრალი

## ანტიეროვნული ეკონომიკა

(მეხუთე გვერდიდან)

სწორედ ამიტომაც თავს დაგვატყდა ის ბიუჯეტი, რომელიც მათი რეკომენდაციებით შეიქმნა. სამაგიეროდ, მათი ექსპანსია ტელევიზიის ეკრანიდან ისეთი ინტენსივობით მიმდინარეობს, რომ ეტყობა, ქართულ კულტურას დიდი დღე აღარ უწერია. ისიც ჩვენს ეკონომიკასავით განადგურდება.

ამ სატელევიზიო რეკლამების ყურება კი მართლაც გაუსაძლისი გახდა: კოკა-კოლასაც შეგაძულებს, „დიროლსაც“ და „ორბიტსაც“ შაქრით თუ უშაქროდ. თუმცა, მდარე ხარისხის ტელესერიალებს კიდევ უფრო დაბალი დონის რეკლამებით რომ გაწყვეტენ, ეს ანტირეკლამა უფროა.

მაინც, როგორ უნდა ჰქონდეს ხალხს მომავლის იმედი, როცა ის მათხოვრობს, მილიონამდე ქართველმა სამშობლო დასტოვა და რაღა გასაკვირია, რომ ქართული „ლაღიძის წყალი“ ამერიკულმა „კოკა-კოლამ“ მოსპო, ქართული შოკოლადი კი თურქული წარმოების „სნიკერსმა“? რაც თამბაქოს ბიზნესმა ქართულ თამბაქოს დღე აყარა, კარგადაა ცნობილი. მართალია, ქართულმა ლუდმა თავი ოდნავ წამოსწია, მაგრამ რა ხელჩართული ბრძოლა გადაიტანა თავის ყოფილ პარტნიორ ფრანგულ კომპანიასთან? აბა ქართული კონიაკი წელში როგორ გაიმართება, როცა საქართველო უცხოურმა ორლარიანმა არაყმა დატბორა?

როგორ ხდება, რომ ჩვენ კონიაკის წარმოება 14 ლარი გვიჯდება და უცხოური სპირტიანი სასმელები ორიოდე ლარად იყიდება? ცხადია, ფალსიფიკატორებს სასმელი ძვირი არ უჯდებათ, მაგრამ აქ ეტყობა სხვა ეკონომიკურ დივერსიასთან გვაქვს საქმე. როგორც ერთ-ერთი ჩვენი სამკერვალო საწარმოს ხელმძღვანელმა მიამბო, ერთ ირანელ მეწარმეს 80 თეთრად შემოაქვს მაისურები, რომელიც მის საწარმოს ორი ლარი უჯდება. ნაბახუსევმა ირანელმა აღიარა, რომ მისი პროდუქციის მცირე ფასი ირანის სახელმწიფოს ფინანსური დახმარების შედეგია. ასეთ ზარალს მას სახელმწიფო უნაზღაურებს ჩვენი ბაზრის დაპყრობის მიზნით, რათა ჩაკვდეს ქართული წარმოება. როდესაც აქ საკუთარი წარმოება მოისპობა, მაშინ დაადებს იმ ფასს, რომელიც მას ხელს აძლევს.

ეტყობა ეს ტრადიციული და დასავლეთში კარგად აპრობირებული სქემაა და „მეგობარი“ სახელმწიფოები სახსრებს არ იშურებენ ჩვენი წარმოების გასანადგურებლად. ჩვენ კი ეროვნული წარმოების გადარჩენის სურვილიც კი დავკარგეთ.

ჩვენი წარმოების განადგურების სავსებით არაორიგინალურ ხერხს იყენებს რუსული ფირმა „აი-ეს-თელასი“ — ურჩ გადამხდელ საწარმოებს ელექტროენერგიას უთიშავს. „ურჩი გადამხდელი“ ჩვენი საწარმოები სილატაკის გამოა და თუ მას ელექტროენერგიაც გამოეთიშა, ის მთლიანად განადგურდება. იგივეს „ყაზტრანსგაზიც“ აკეთებს, მაგრამ სად ჰქონდა ქართველს ჭკუა, რომ ეს სასიცოცხლოდ სტრატეგიული ობიექტები არ გაეუცხოებინა?

მაინც რა დაგვემართა, რომ ყველაფერი უცხოური საუცხოო გვგონია? როდის უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენი გალატაკებული ოჯახის ბიუჯეტიდან ის ორიოდე ლარი, რაც გაგვაჩნია, თურქი თუ გერმანელი მწარმოებლის და უცხოური თუ ქართული მაფიის ჯიბეში არ უნდა გადავუშვათ?

სანამ ამას ვერ მივხვდებით, ჩვენი სამამულო წარმოება არ აღსდგება და ჩვენც მხოლოდ ვაჭრუკანა ერი ვიქნებით ერთადერთი იმედით: ვეძებოთ პრიზები ბოთლების თავსახურებში და ლატარიაში მოგების იმედად დავრჩეთ.

მაინც რატომ გავანადგურეთ ყველაფერი? იქნებ იმიტომ, რომ ერთი მუჭა მილიონერები გვეშვა? ღირდა კი ეს იმად, რომ მილიონობით ადამიანი გაღატაკებულიყო და მრავალი მათგანი თავის გადასარჩენად საზღვარგარეთ გახიზნულიყო?

ცხადია ქვეყანაში იმპორტის აკრძალვა დაუშვებელია, მაგრამ სულელური და ანტიეროვნული იმპორტი რომ ეკონომიკური კანონებით უნდა შეიზღუდოს, განა გაუგებარია? ის პროდუქცია, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ ან შეგვიძლია ვაწარმოოთ, იქნება ეს თამბაქო, ლუდი, ლიმონათი თუ ტანსაცმელი, იმპორტისას ისე უნდა დაიბეგროს, რომ ჩვენი წარმოება არ ჩაკვდეს. ხომ ცნობილია, რომ ირანისა და თურქეთის სახელმწიფოები თავიანთ მეწარმეებს ისე ეხმარებიან ფინანსურად, რომ ჩვენთან შემოზიდული პროდუქციის ფასს ჩვენმა ნაწარმმა კონკურენცია ვერ გაუწიოს? ამისათვის არც ჩვენი მეწარმეებისა და მოხელეების მოსყიდვას თაკილობენ და იზრდება უმუშევართა არმია, იხურება ქარხნები, ღატაკდება ქვეყანა და მდიდრდება ერთი მუჭა ბიზნესმენის ქურქში გახვეული მაფია.

ცნობილია, რომ ადამიანის ტვინს საკმაოდ დიდი ენერგია სჭირდება აზროვნებისათვის. ამ ენერგიას ის საკვებით იღებს. ალბათ იმიტომაც ჩავვარდით ამ დღეში, რომ მშიერი ადამიანი ვეღარ აზროვნებს და იქნებ ეს სახელმწიფო პოლიტიკაცაა, რომ საქართველოში მოაზროვნე ადამიანი აღარ დარჩეს? ადვილად სამართავ ხალხს აზროვნების უნარი არც უნდა ჰქონდეს. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა ამ მიზანს მშვენივრად ემსახურება და როდესაც საქართველოში ინტელიგენცია მთლიანად მოისპობა, ქართველი ერი სწორედ ის მოჯამაგირე ერი გახდება, რომელიც ასე სჭირდება ევრაზიის დერეფანს.

მაგრამ მხოლოდ ჩვენი მცდელობა ყველაფრის დანგრევაზე ასე არ დაგვაქცევდა, უცხოური „დახმარებები“ რომ არ ყოფილიყო. ამ დახმარებების მიზანი, როგორც ვნახეთ, ეროვნული ეკონომიკის განადგურებაა და ეს დიდი წარმატებითაც ხორციელდება. სწორედ ამიტომ გადაიქცა საქართველო უცხოელთა საქონლის გასაღების ბაზრად ადგილობრივი მაფიის დახმარებით. სწორედ ამიტომ ჩაკლეს ადგილობრივი წარმოება და გზა გაუხსნეს კონტრაბანდულ პროდუქციას. ბიზნესმენები შეთავსებით სახელმწიფო მოხელეები გახდნენ და უცხოური მსტოვრების რეკომენდაციებმა ტვინი იმდენად დაუბნელეს, რომ საკუთარი აზრის გამოთქმისაც ეშინიათ. **ნებისმიერი რანგის მოხელეს აზროვნება მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რომ როგორმე იმას მიხვდეს, თუ მისგან რისი მოსმენა სურს მის ზემოთ მჯდომ მოხელეს, რათა სავარძელი არ გამოეცალოს ან სულაც საბრალდებო სკამზე არ გადაბრძანდეს.**

ქვეყანა შიშმა შეიპყრო, თუმცა თქვი, რაც გინდა, ამას არც აზრი აქვს და არც რაიმე შედეგი მოჰყვება. ჩვენი დემოკრატიაც მხოლოდ ამით შემოიფარგლა. „სიტყვის თავისუფლებას“ ალბათ მივაღწიეთ კიდეც, მაგრამ ნებისმიერი ქმედება სასიკვდილოდ საშიშია.

სამაგიეროდ, ჯერჯერობით სტაბილურობა ხელთა გვაქვს და ეს ის „მონაპოვარია“, რომელიც ქართველს მონობასაც შეუნარჩუნებს და ჰამბურგერების დამზადებასაც ასწავლის. ჩვენთვის საკუთარი აზროვნებაც ზედმეტია და განათლებულობაც. მთავარია პრიზების მოპოვებისა თუ ლოტოში მოგების იმედი არ მოგვიშალოს ღმერთმა და იქნებ უცხოელების მიერ სამოწყალოდ გადმოგდებული ძონძებით დავიფაროთ ულვთოდ გაშიშვლებული სხეული...

იერემია წინასწარმეტყველი ღმერთს ასე მიმართავს: **„ოხრავს შენი ერი, პურის მძებნელი, საჭმელში ცვლიან ძვირფასეულობას, რომ სული მოითქვან; მოიხედე, უფალო, და დაინახე, როგორ დავმცირდით“.**

**მერაბ ჯიბლაძე,**
**ქართული აკადემია.**

გლობუსი

## ზოგჯერ თქმას

**გასულ შაბათს, რადიო „იმედის“ შეკითხვაზე — კვირის განმავლობაში, რომელ მოვლენას მიაქცია მსმენელმა ყურადღება, რესპონდენტთა პასუხებში ერთხმად აღინიშნა ბადრი პატარკაციშვილის დაკრძალვა, აფხაზი სამართალდამცავების მიერ ქართველი ჟურნალისტის დაპატიმრება და რესპუბლიკური პარტიის ერთიანი ეროვნული საბჭოს დატოვება.**

სატელეფონო ზარების ავტორები შეშფოთებას გამოთქვამდნენ ჟურნალისტის დაკავების ფაქტის გამო და მოითხოვდნენ ხელისუფლებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას უდანაშაულო ადამიანის გათავისუფლებისათვის. ამასთანავე, ხაზგასმით აღნიშნავდნენ თუ რამ დაძაბა ვითარება და რამ გამოიწვია, ერთი შეხედვით, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ჩვეულებრივად ქცეული, ბანალური საკითხის ესოდენი გამწვავება. **ჩემდა გასაკვირად, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა, დამნაშავედ საქართველოს ხელისუფლებას და პრეზიდენტს მიიჩნევს.**



**ამაზე ნაკლებად გავამახვილებდი ყურადღებას, რომ არა ერთი საგულისხმო მომენტი, ჩემი აზრით ფრიად მნიშვნელოვანი. რესპონდენტთა პასუხებმა უდავოდ განმიმტკიცა აზრი, რომ „ხალხი ყველაფერს ხვდება“, „ხალხმა ყველაფერი იცის“. მავანმა შეიძლება თქვას — თითოოროლა რესპონდენტის პასუხებიდან გამომდინარე დასკვნების გაკეთება უადგილოაო, მაგრამ იმ დღეს რესპონდენტთა სიჭარბემ, თავდაჯერებულობამ მაგრძნობინა, რომ არა მარტო ისინი ფიქრობენ ასე, არამედ მათ ოჯახის წევრები, ახლობლები, მეზობლები,** რაც ცოტა არ არის და რაც საგანგაშო სიგნალია ხელისუფლებისათვის, რამეთუ ამ უკანასკნელის თუნდაც პატრიოტული განცხადებები ვერავითარ დასაყრდენს ვეღარ პოულობს ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქეებში. პრეზიდენტის ახლო წრე კი საკმარისი არ არის. როდესაც რესპონდენტები იტყვიან, რომ პრეზიდენტმა ყური მოჰკრა გაეროს წარმომადგენლების ძალისხმევას ჟურნალისტის გათავისუფლებისათვის და აქაოდა არავინ დამასწროსო, სხვისი გაკეთებულის საკუთარ აქტივში ჩასაწერად, მკაცრი სიტყვები ტყორცნა ბალაფშს — გაათავისუფლე, თორემ მე ვიცი რას ვიზამო, პრეზიდენტისადმი ხალხის ნდობის ფაქტორი ამოწურულია. ჯერაც ძნელია იმის დადგენა უფრო მეტად ვინ გახდა თავშეუკავებელი პიარის მსხვერპლი, პრეზიდენტი თუ ჟურნალისტი. როდესაც რიგითი მოქალაქეები, ერთი შეხედვით პოლიტიკიდან შორს მდგომნი, ესოდენ იოლად გამოიცნობენ ქვეყნის პირველი პირის გონების წიაღში, „აზრთა, ჭიდილის“ და მძიმე მშობიარობის ნაყოფს, პრეზიდენტის შეუცდომლობაში დაჯერებულ ურწმუნო თომებშიც სერიოზულ ეჭვს აჩენს.

სხვა საკითხია ჟურნალისტი და მისი შემდგომი ბედი. მთავარი იყო პატრიოტიზმის გამოვლინება, ფსევდოპატრიოტიზმის, რომელმაც გაეროს ჯაფას ხაზი გადაუსვა და მინიმუმ ორი თვით გადასწია ჟურნალისტის გათავისუფლების საქმე.

**რესპონდენტები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ პრეზიდენტს არ უნდა ეთქვა ჟურნალისტის გათავისუფლებისათვის სოხუმში სპეცოპერაციის ჩატარების თაობაზე, მით უმეტეს, როდესაც ამის გაკეთება მას არ შეუძლია.** რესპონდენტები იმასაც ამბობდნენ, რატომ იხარჯება მილიონები ჯარისათვის, რომელსაც მხოლოდ აღლუმებსა და მშვიდობიან დემონსტრანტთა დარბევისათვის იყენებენ. რადიოგამოკითხვამ მრავალი საყურადღებო კითხვა გააჩინა, მათ შორის მთავარი — პრეზიდენტის განცხადებისადმი უნდობლობა, როგორც ჩანს ოთხი წლის განმავლობაში ხელისუფლების პატრიოტული დისკის ტრიალს ხალხი ისე შეეგუა, რომ აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევს, გარდა ერთისა — გაცვეთილი „პლასტინკა“ გაღიზიანებას იწვევს მასში. ის, ისეთივე დაუჯერებელი გახდა, როგორც პირის დაკავებისას ჯიბეებში აღმოჩენილი ნარკოტიკები და „სტინგერები“.

ხელისუფალთა „პატრიოტიზმს“ არც მეოთხე ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის „პატრიოტიზმი“ ჩამორჩა. ისიც ხომ სიტყვით ხელისუფლებაა. სიტყვა კი კაცს აშენებს და დააქცევს, გაახარებს და მოკლავს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტის სიტყვაზე არ ვლაპარაკობძ, ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაში. ჯერ სამშობლოდან, შემდეგ სიცოცხლიდან გაძევებული, ჭეშმარიტად პატრიოტი, სამშობლოსათვის სიტყვით და საქმით გულანთებული მამულიშვილის სიკვდილი მრავალი წლის განმავლობაში შავ სუდარასავით გაჰყვება გათანგულ საქართველოს.

ჟურნალისტები (ცხადია არა ყველაძ იმიტომ ვახსენე, რომ მათ შესაშური სოლიდარობა გამოავლინეს სოხუმში დაჭერილი კოლეგის მიმართ. ოღონდ ერთია, რაღაც ხელოვნურობა, ხელისუფლურობა (მხედველობაში მაქვს პირველი ხელისუფლებაძ გამოსჭვიოდა მათი საპროტესტო აქციიდან, და ალბათ არც არის გასაკვირი, ვინაიდან ტელეკომპანიები „მზე“, „რუსთავი-2“, „ალანია“, აჭარის ტელევიზია, ხომ ის ტელეკომპანიებია, რომლებიც ხელისუფლებისადმი ტრფიალით არიან ცნობილი. მსგავსი მასმედიური აზვირთება მარტო ერთი ფაქტით არ უნდა იფარგლებოდეს. **თუ მეხსიერება არ მღალატობს არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ტელეკომპანიას ასეთი პატრიოტული დემონსტრაცია არ მოუწყვია არც გაეროს წარმომადგენლობის და არც სახელმწიფო კანცელარიის წინ, როდესაც უმოწყალოდ დაარბიეს ტელეკომპანია „იმედი“, გათიშეს ტელეკომპანია „კავკასია“, გამომცემლობა სამშობლოს შენობიდან გამოყარეს მრავალი ჟურნალ-გაზეთის რედაქცია და ტელეკომპანიის წარმომადგენლობა. ეთერში გაშვებული ნახევარწუთიანი ძუნწი ინფორმაცია არ იყო ის, რასაც საზოგადოება ითხოვდა ხელისუფლების მეხოტბე ტელეკომპანიებიდან.**

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — ჟურნალისტური მუქარა, რასაც უხვად ჰქონდა ადგილი გაეროს წარმომადგენლობის წინ. ასეთი განცხადებების შემდეგ მხოლოდ ერთი გზა რჩება — იარაღის შესხმა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც ჟურნალისტიკა (ცხადია არა ყველაძ ხელისუფლების ნაცად, ყოყოჩურ გზას დაადგა — მეტი ემოცია, საქმე, ნოლი. ვეჭვობ, ჟურნალისტის მოწოდება ცეცხლზე ნავთის დასხმა იყოს. მასმედიას ისევე, როგორც ხელისუფლებას არათუ არ შეშვენის უადგილო ბაქიაობა, არამედ ვნებს კიდევაც.

დიპლომატიაში მიუღებელია სახელმწიფოს მეთაურის მკაცრი განცხადების თუნდაც ნაწილობრივი შეუსრულებლობა. სახელმწიფოს პრესტიჟს სერიოზულად აზიანებს დაქადნების პოლიტიკა. წინადადების ბაგეთაგან გადმოღვრამდე უნდა იფიქროს პოლიტიკოსმა, მით

# პრობლემა

● ჩვენი ხელისუფლება, ურემი რომ გადაბრუნდება, გზას და გამოსავალს მერე ეძებს. სანამ უბედურება არ მოხდება, არავინ უნდა მოგვხედოს?

◉ ფიქრები ტელეეკრანთან

***შესანიშნავი** ქართველი ბელეტრისტის რევაზ ჯაფარიძის შემოქმედებაში, ცნობილია, რომ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პუბლიცისტიკას. მისმა თანამედროვეებმა ვიცით, რა დაუნდობელი მოკამათე, რა ცხარე პოლემისტი იყო ბატონი რევაზი. მარტო ვერმიშევის ნაბოდვარისადმი მიძღვნილი მისი მძაფრი წერილი რად ღირს, ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის" ჯერაც დაუსრულებელ თემას რომ აგრძელებს... პოლემისტი იყო, მაგრამ როგორი დარბაისელი, როგორი აწონილი სიტყვის პატრონი... აკი, გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოსცა კიდეც „აწონილი სიტყვა" — გულმხურვალე პატრიოტი მწერლის გამოსვლებისა თუ პუბლიცისტიური წერილების კრებული, რომელიც, უპირველესად, გხიბლავთ ოპონენტისადმი პატივისცემით (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ საკითხის საფუძვლიან ცოდნაზე, რაზეც მწერალი საუბრობს), ბატონი რეზო, უპირველესად, თავის პროფესიას სცემს პატივს.*

# აწონილი სიტყვა

ახლა, როცა, ასე ნანატრმა დემოკრატიამ სიტყვის თავისუფლებაც მოიტანა და მწერლებმა და ჟურნალისტებმა „არტახები დაწყვიტეს", კაცს გული აგერევა ამდენი მოუზომავი ნათქვამის გამო ქართული პრესის კითხვისას თუ რადიო-ტელევიზიის მოსმენისას... თითქოს ამ ხალხს (ჩემს ზოგიერთ კოლეგასძ ერთმანეთის დასაბინძურებლად ტალახი მომზადებული ჰქონდა და მხოლოდღა ცენზურის გაუქმებას ელოდებოდა.

ჩვენ დავივიწყეთ, რომ „პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა", რახან ქაღალდი ყველაფერს იტანს, რახან მიკროფონს თითქმის არასოდეს გამოგირთავენ, მიდი და „შაუბერე", უკადრებელი იკადრე, ოღონდ მოწინააღმდეგე „დაამარცხო".

მხოლოდ, უბედურება ისაა, სახელმწიფოს პირველი პირები და პატივცემული პარლამენტარები რომ იძლევიან მოუზომავად საუბრის მაგალითს. რაც, არცთუ იშვიათად, ძვირი უჯდება ქვეყანას. გულზე ხელი დაიდეთ, ხომ ბევრჯერ გიბრძვნიათ უხერხულობა პრეზიდენტ სააკაშვილის ყალბი „რახარუხით", უზომო ტრაბახით, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს დიპლომატიასთან?.. რა იყო ეს, მაგალითად, ახლახან, ტელევიზიით, კუშტი სახით, ვითომ უმკაცრესი ულტიმატუმი რომ წაუყენა მან აფხაზეთის თვითმარქვია პრეზიდენტს? აკი, ბაღაფშმა არად ჩააგდო სააკაშვილის მუქარა და, რა დღეშიცაა ამ წუთას ჩვენი კოლეგა და მისი ოჯახი, კარგად მოგეხსენებათ.



აი, სად იყო საჭირო ქვეყნის მეთაურის აწონილი, მოზომილი სიტყვა!

მაგრამ, კოკასა შიგან რაცა დგასო, ხომ გაგიგონიათ?!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ინფორმაცია

## დავიცვათ ქართული ენა!

**სტუდენტური** არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია — „მოძრაობა 1978" განათლების სამინისტროსგან ქართული ენის დასაცავად სპეციალური ინსტიტუტის შექმნას ითხოვს. ამის შესახებ გუშინ თსუ-ს ეზოში გამართულ ბრიფინგზე მოძრაობის წარმომადგენლებმა განაცხადეს.

მოძრაობის ლიდერის, უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტის ლევან ჩიტაძის განცხადებით, მათი მოქმედების სფერო ენის დაცვა და სახელმწიფოებრივი საკითხები იქნება. მოძრაობის წევრები უახლოეს პერიოდში განათლების სამინისტროს მიმართავენ, რათა ენის ბარბარიზმებისაგან დასაცავად ინსტიტუტი შექმნას.

მისივე თქმით, ბოლო წლებში ქართულ ენაში ბარბარიზმები მომრავლდა. იგი სამინისტროსგან მოითხოვს, ენათმეცნიერებისთვის თანხები გამოყოს. ჩიტაძემ თსუ-ს რექტორს ასევე სთხოვა, რომ მათ მოძრაობას სამუშაო კაბინეტი გამოუყოს.

— 1978 წლის 14 აპრილს ამ ადგილიდან ქართული ენის გადასარჩენად მოძრაობა დაიწყო. ჩვენი მოძრაობისთვის მთავარი იქნება — "ენა, მამული, სარწმუნოება, — აღნიშნა ჩიტაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

◉ დაზუსტება

**გუშინ** ჩვენი გაზეთის მე-7 გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში „აურჩეველი რჩეული", მეორე სვეტის ბოლო აბზაცში „ფიზიკის მეცნიერებათა აკადემიის" ნაცვლად უნდა ეწეროს „ფაზისის" მეცნიერებათა აკადემია", შემდეგ როგორც ტექსტშია.




◉ გვწერენ

## ღია ჭა სკვერში ბავშვებს საფრთხეს უქმნის

**გლდანის რაიონის მუხიანის მეორე მიკრორაიონში, გზიდან მარჯვნივ მდებარეობს სკვერი, სადაც ბავშვებისთვის გასართობი წითელ-ყვითელი სათამაშოები და საქანელებია.**

ბავშვები მთელი დღის განმავლობაში თამაშობენ, ქრიამულობენ, მაგრამ სამწუხაროა, რომ ეს ადგილი ძალიან საშიშია — სკვერში 1 მეტრი სიგანისა და 8 მეტრი სიღრმის ღია ჭაა. IV კორპუსის მცხოვრებლები აღშფოთებული არიან. **ლია ჯიმშიტაშვილი:** ჩემი აივნიდან ძალიან ახლოს არის ეს ღია ჭა. კარგ ამინდში, განსაკუთრებით ზაფხულობით იქიდან მღრღნელები და ქვეწარმავლები ამოდიან. ისინი ხშირად ჩემს აივანზეც მინახავს, საშინელი სუნი ტრიალებს. წვიმის დროს კი სკვერის მიმდებარე ტერიტორია წყლით იტბორება, ზევით ამოდის ნარჩენები და ნაგავი. ბავშვების სკვერში მარტო თამაში ძალიან საშიშია.

რამდენჯერმე მივმართეთ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

ჩვენი ხელისუფლება, ურემი რომ გადაბრუნდება, გზას და გამოსავალს მერე ეძებს. სანამ უბედურება არ მოხდება, არავინ უნდა მოგვხედოს?

**მირანდა ფორჩხიძე.**

№ 42. ხუთშაბათი, 6 მარტი, 2008 წელი.

◉ გლობუსი

# ართქმა სჯობს

უმეტეს მაღალი რანგის მატარებელმა, ნათქვამ სიტყვებს მოაყოლებს თუ არა პრაქტიკულ ნაბიჯებს. ვეჭვობ, რეაქციული რიტორიკა წაადგეს ქვეყანას მომავალი, ბუქარესტის სამიტისათვის, რომელზეც საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხიც იქნება განხილული.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილის მხრიდან არაერთ განცხადებას ჰქონდა ადგილი, რომლებიც თავიანთი შინაარსით მკვეთრად განსხვავდებოდა პირველადი განცხადებისაგან, რომელმაც უმნიშვნელო, მაგრამ მაინც, იმედი ჩასახა საზოგადოებაში. ამ განცხადებებიდან უპირველესი ის იყო, რომ პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა რუსეთის პრეზიდენტის დელიკატურად, დიპლომატიურად ნათქვამი მოსაზრება აფხაზეთ-სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან მიმართებაში (თუ ამას ასე გამოკვეთილად ჰქონდა ადგილიძ სასურველ რეალობად ჩათვალეს და იმდენი ილაპარაკეს ამ თემაზე და თანაც სეპარატისტული რეგიონებისათვის გამაღიზიანებელი ტონით, ვიდრე რუსეთის საგარეო უწყებამ არ გამოაქვეყნა ჩვენთვის ერთობ არასახარბიელო განცხადება, რომ ქართულმა მხარემ ისე ვერ გაიგო, როგორც



უნდა გაეგოო. ცნობილი საბჭოთა დიპლომატი ა. კოვალიოვი თავის წიგნში „დიპლომატიის ანბანი", რომელიც გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დაიბეჭდა, წერს: „მოლაპარაკების დასახასიათებლად რამდენიმე ტერმინი გამოყენება, მაგალითად ისეთი, როგორებიცაა: „ღრმა", „ნაყოფიერი", „ფართო", „საქმიანი", „კონსტრუქციული", „სასარგებლო", მოლაპარაკებათა მსვლელობა ხასიათდება, აგრეთვე ისეთი მინიშნებებით, როგორებიცაა: მეგობრული, გულითადი ატმოსფერო, თანხმობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო, აზრთა გულღია გაზიარება და სხვა. სიტყვა „გულღიას" თუ არ ახსენებენ „ნაყოფიერთან" ერთად, დიპლომატიაში აღიქმება, როგორც „აზრთა სხვადასხვაობა". ცნობილი დიპლომატისა და მეცნიერის მოსაზრება მოლაპარაკებასთან დაკავშირებით იმიტომ მოვიყვანე, **რომ დიპლომატიურ განცხადებას, მით უმეტეს დიპლომატიურ დოკუმენტს, დიპლომატიური ანბანის მცოდნე დიპლომატები სჭირდება და არა ბაქრაძე-ბეგაშვილ-კიწმარიშვილის (ყველას ჩამოთვლას გაზეთის გვერდიც არ ეყოფა) მსგავსი თათარიახნად გამზადებული „დიპლომატები". როგორც ჩანს, ნოვოე ოგორიოვოში ნათქვამი მოსაზრება ქართველებმა ცოდნიდან თუ უცოდინარობიდან გამომდინარე ისე გადმოთარგმნეს, როგორც თვითონ აწყობდათ და საზოგადოების თვალებში მტვრის შეყრის მიზნით მანამ ატრიალეს, ვიდრე მეორე მხარის კატეგორიული განმარტება არ გამოადნეს. გაუგებრობასაც რომ არ ჰქონოდა ადგილი, აუცილებელი არ იყო ყველაფერზე საჯაროდ ლაპარაკი, რასაც დახურულ ოთახში ჰქონდა ადგილი, დიპლომატია და პოლიტიკა ფაქიზი საქმეა — ყვირილს ზოგჯერ სიჩუმე სჯობს. დიპლომატიური გაუგებრობების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა წარმოუდგენელ ბუმს განიცდის.**

სავალუტო ფონდის დელეგაციის ჩამოსვლას უნდა მივაწეროთ დოლარისა და ევროს კურსის ოდნავი აწევა თუ უბრალო დამთხვევას, ვერ გეტყვით, მაგრამ მსგავს მანიპულაციას, რომ ჰქონდა ადგილი ყველას მოეხსენება. დასავლელი ექსპერტების მიერ საქართველოს ეკონომიკური წინსვლით აღფრთოვანებას ხომ საზღვარი არა აქვს. მხოლოდ ერთია, მათი აზრით, უმნიშვნელო რამ, რაც უფრო წინ მიდის საქართველოს ეკონომიკა, მით უფრო უკან რჩება მოსახლეობის ცხოვრების დონე, თუმცა სრულიად სხვაგვარ სურათს გვიხატავს მარტ ლაარი, საქართველოს ხელისუფლების მიერ დიდ ფულად დაქირავებული მორიგი ბალტიისპირელი ეკონომისტი, ფრანგულ „მონდში". ავტორი აღტაცებას ვერ მალავს „ბოლო ხუთ წელიწადში მომხდარი ცვლილებების გამო". „ბანკროტი ქვეყანა დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაიქცა", „სასტუმროებში ბევრ ინვესტორს შეხვდებით, რომლებსაც იზიდავს ქვეყანა, მსოფლიო ბანკს ახლა უკვე ბიზნესისათვის უფრო გახსნილად რომ მიაჩნია, ვიდრე გერმანია", „დასავლეთისთვის წარმოუდგენელი რეფორმები აქ რამდენიმე თვეში განხორციელდა", „ეს შესაძლებელი გახდა იმ გუნდის წყალობით, რომელშიც შევიდნენ ახალკურსდამთავრებული მინისტრები". „გამოცდილების უქონლობა ყველაზე გაბედული ოცნებების განხორციელებისაკენ უბიძგებს ადამიანებს" და სხვა მრავალი მსგავსი გამონათქვამი მლიქვნელობისა და საკუთარი თავისქების უნიკალური მაგალითია. ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ამჯერად საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველი სამწუხაროდ არაკეთილსინდისიერ გზას დაადგა — საქართველოს ხელისუფლების საქმეთა დაუმსახურებელ განდიდებას და თანაც საზღვარგარეთ. ის, რაც არ იკადრა პოლონელმა ბალცეროვიჩმა, იკადრა ესტონელმა ლაარმა. **იქნებ მართლაც ასე აყვავებულად ხედავს დაქცეულ საქართველოს ესტონელი ეკონომისტი? სულაც არ არის გამორიცხული, ვინაიდან მისი სამოძრაო მარშრუტიდან გამომდინარე — სასტუმრო „თბილისი-მარიოტი", პარლამენტი და სახელმწიფო კანცელარია, ჩვენთვის უკვე დავიწყებული, მავთულზე გამობმული ტრანსპორტის — ტროლეიბუსის სვლაგეზს ჰგავს, თორემ „დეზერტირების" ბაზრის (თუმცა სადღა არის ბაზრის შენობა) მიმდებარე კვარტლებისათვის რომ ერთხელ მაინც გადაევლო „ეკონომიკური" თვალი, აღტაცება საგონებლით შეეცვლებოდა. ყოფილი ბაზრის შენობის ირგვლივ, ქუჩებში გაშლილი ბაზრები, ჭუჭყი, ტალახი, ქაოსი, ანტისანიტარია უაღრესად ჩამორჩენილი აფრიკული სახელმწიფო, ლანდშაფტს უფრო მიესადაგება, ვიდრე დაპურებულ-დამშვიდებულ ევროპას, საითკენაც, ცრუ სიტყვებით, თავის გაგებით, მიგვაქანებს ლარი. მის გასაგონად უნდა ითქვას, რომ საქართველო განათლებული და სამეცნიერო კადრებით ერთ-ერთი პირველი იყო ყოფილ საბჭოთა სივრცეში, თუნდაც ესტონეთთან შედარებით და სამწუხაროდ გამოუცდელი, ქარაფშუტა ახალგაზრდა ხელისუფლების „რეფორმატორული შემართების" წყალობით, აფრიკის კონტინენტის ჩამორჩენილი ქვეყნების დონეზე დავიდა. იმ სახელმწიფოებშიც არსებობს ე.წ. ოაზისები — მთავრობის სასახლეები, ხუთვარსკვლავიანი, შადრევნიანი სასტუმროები, მაგრამ იმის იქით არის სიდუხჭირე, მძიმე ეკონომიკურ-სოციალური პეიზაჟი, რაც არ აგვცდება, თუ ასე მოლაქუცე, არასამართლიანი და ხელისუფლების მეხოტბე უცხოელი მრჩევლები გვეყოლება.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**
პოლიტოლოგი.

№ 42. ხუთშაბათი, 6 მარტი, 2008 წელი.

**ჩვენ** ● როგორც ჩანს, ჯერი ახლა რკინიგზაზეა! რა ვუყოთ, რომ ხელისუფლების მთავარი ჩალიჩმეისტერი კახა ბენდუქიძე ჩამოლაზორანტებულია. როგორც სარწმუნო წყაროებით ირკვევა, ქვეყნის ყიდვა-გაყიდვის საკითხებში კახას პრიორიტეტი ჯერაც პრესტიჟულია

## ◎ ინფორმაცია

### ლეიბორისტები სოლიდარობას უცხადებენ

**„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ სს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ თანამშრომელთა გაფიცვას სოლიდარობას უცხადებს.**

**როგორც „ლეიბორისტების“ ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ინგლისურ-უკრაინული საინვესტიციო ფირმა „ჯორჯიან-მანგანეზის“ წარმომადგენელი ზიბერმანი ფეროშენადნობი ქარხნის თანამშრომლებს არაადამიანურად ეპყრობა, რომლებსაც კუთვნილ შვებულებებს და სხვა კუთვნილ სოციალურ სარგოებს არ უნაზღაურებს.**

**მისივე განცხადებით, ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების პრივატიზება დაუშვებელია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას არ აინტერსებს ქვეყნის სიმდიდრე და მხოლოდ მოგებასა და ინვესტორების ინტერესებზე ფიქრობს.**

### ზარალი აანაზღაურეს

**საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დაზღვევის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, სადაზღვევო კომპანიებმა 2007 წელს 39,52 მლნ. ლარის ზარალი აანაზღაურეს. 2006 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 23,1 მლნ. ლარი შეადგინა.**

**გასულ წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულმა ჯამურმა პრემიამ 119,292 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2006 წლის მაჩვენებელს დაახლოებით 49 მლნ ლარით აღემატება.**

**2007 წლის განმავლობაში კომპანია „ალდაგი ბისიაის“ მიერ მოზიდულმა ჯამურმა პრემიამ 41 843 576 ლარი შეადგინა, ხოლო კომპანიის მიერ ანაზღაურებულმა ზარალმა — 8 522 490 ლარი.**

ინტერპრესნიუსი

## ◎ რკინიგზა




# მთავრობას კიდევ ერთი მსუქანი ლუკმა გაეჩხირა

**მართალია ოპოზიცია ხელისუფლებას დიდ დღეს აღარ უწინასწარმეტყველებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავრობა სანსვლაში ისე დახელოვნდა, რომ ამ მცირე დროშიც კიდევ ერთი „მსუქანი ლუკმის“ გადაყლაპვას მოასწრებს. ლაპარაკია ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტზე — რკინიგზაზე, რომელიც ყიდა-ყიდა, მაგრამ ყელში იმდენჯერ გაეჩხირა, რომ მთავრობასთან ერთად ლამის რკინიგზაც გაიგუდა.**

გაგუდვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ხელისუფლების უთაურო და უყაირათო მართვის პირობებში ყოველთვის მომგებიანი რკინიგზა რომ ბოლო წლებში ზარალიანი გახდა და გაკოტრდა, ამას დღეს ველარავინ მალავს, ვერც ეკონომიკის სამინისტრო, ვერც თავად რკინიგზის მესვეურები და ვერც ეკონომიკის ექსპერტები. ჰოდა, რახან „ზედმეტი ბარგი“ გახდა ქვეყნისათვის, ადგებიან და მოიცილებენ“, გამოჩნდა ვინმე „ცალთვალა“ და „უცნობი“ მყიდველი, რომელსაც იმდენი თანხა კი აღმოაჩნდება, რომ თავადაც მოგებული დარჩეს და ჩვენი ჩალიჩა ჩინოვნიკობაც არ აზარალოს.

მე მგონი ასეთი მყიდველი (თანაც ერთი და ორი კი არაძ უკვე გამოჩნდა კიდეც. 25 იანვარს ამოიწურა წინადადებების წარდგენის ვადა და ცნობილი გახდა, რომ „საქართველოს რკინიგზით“ დაინტერესდნენ „კეპიტალ ინვესტმენტი ჯგუფი“, „ისტ კეპიტალი“, „ცენტრ ინვესტ კეპიტალ პარტნერსი“ და სხვები, რომელთა ვინაობა და „საინვესტიციო ყულაბა“ ფართო საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობია. მე, როგორც უცხოელი პარტნიორების თაყვანისმცემელმა, მინდა ვურჩიო მათ, თავი შეიკავონ ჩვენი ზარალიანი და ფაქტობრივად გაკოტრებული რკინიგზის ყიდვისგან, მაგრამ დამიჯერებენ კი?

არადა, მათ რომ მოესმინათ ტელეკომპანია „კავკასიის“ არხზე დეპუტატი ბიძინა გუჯაბიძისა და რკინიგზის ყოფილი მემანქანისთვის (სამწუხაროდ, მისი გვარი ვერ დავიმახსოვრეძ, თავიანთ წინადადებებს სასწრაფოდ უკან გაიტანდნენ. მაინც რა თქვეს ასეთი? ხელისუფლებამ და რკინიგზის ხელმძღვანელობამ გაერთიანებული ძალით დაანგრიეს ქვეყნის ბიუჯეტისათვის ეს მაღალშემოსავლიანი დარგი და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ დღეს ქვეყანაში მხოლოდ ოთხი სამგზავრო მატარებელიღა დახრიგინობსო. ამას თავი დავანებოთ, რკინიგზას იმის თავიც არა აქვს, ვაგონების გასათბობად ნახშირი შეიძინოს, საწვავად მანქანის საბურავებს იყენებს და მგზავრი დილით მატარებლიდან ერთიანად გამურული ჩამოდისო...

კიდევ რა თქვეს, იცით? რკინიგზიდან ვინც საქმის გამკეთებელი და პროფესიონალი იყო, ყველა გაყარეს, სამაგიეროდ დეპარტამენტის ადმინისტრაციული პერსონალი გაავსეს სახელისუფლებო კლანის წევრთა ნათესავებით (ადრე თუ დეპარტამენტში 335 კაცი მუშაობდა, ახლა მათი რიცხვი 1600-ზე ავიდაოძ, რომლებსაც საქმისა არაფერი გაეგებათ, ხელფასებს კი, იცოცხლეთ, 2-5 ათას ლარით იჯიბავენო. მაგალითიც მოიყვანეს — ეკა ტყეშელაშვილის ქმარი, რომელიც რკინიგზის უფროსის მრჩევლად მუშაობს, თვეში ტყუილუბრალოდ 5040 ლარს ღუნავსო.

ჰოდა, ჩემო ბატონო, ასეთების ხელში რკინიგზა მომგებიანი როგორ იქნება? ამიტომაც მთავრობას ერთი გამოსავალიღა რჩება — აიღოს და ეს ზარალიანი ობიექტი, დღეს იქნება თუ ხვალ, როგორმე თავიდან მოიცილოს!

მართალია, ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ეკონომიკური ექსპერტები გია ხუხაშვილი, სოსო ცისკარიშვილი, ნიკო ორველაშვილი სასტიკად ეწინააღმდეგებიან, მათ არაერთხელ განაცხადეს, რომ რკინიგზა სტრატეგიული ობიექტია და მისი გაყიდვა ქვეყნისათვის როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად დიდად წამგებიანი იქნება, მაგრამ კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა. ჩვენი მთავრობა კი, მოგეხსენებათ, სმენადობით არც ადრე გამოირჩეოდა და რა გასაკვირია, რომ ნოემბრის ხმაურიანი მოვლენების შემდეგ მას ეს თვისება კიდევ უფრო დაუქვეითდა?

რა თქმა უნდა, აქ უფრო გონიერების სმენადობაზეა ლაპარაკი და არა ყურისა. გონიერთათვის კი კარგად არის ცნობილი, საქართველოსა და მის რკინიგზას რა სტრატეგიული პოზიცია უკავია მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის გზაჯვარედინზე, ამერიკისთვის მაგალითად, საქართველო „სტრატეგიული დერეფანია“, რომელიც გზას ხსნის ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებისაკენ. ამდენად საქართველოს რკინიგზის პრივატიზაციას უფრო მეტად პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ვიდრე ეკონომიკური. ეს ყველამ იცის, მაგრამ, გამოდის, რომ არ იცის საქართველოს ხელისუფლებამ და ხელიდან უშვებს ისეთ სტრატეგიულ ობიექტს, რომელიც კონკრეტულ ბაზარზე ერთმანეთთან ორ მნიშვნელოვან რეგიონს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს რკინიგზა შავი ზღვის პორტებს აკავშირებს კასპიის ზღვის პორტებთან და სომხეთთან, რის დაკარგვაც ქვეყანას დიდ ფუნქციას აკარგვინებს.

ასეთ ვითარებაში ვინ შეიძლება იყოს ყველაზე მეტად დაინტერესებული საქართველოს რკინიგზის ყიდვით? რა თქმა უნდა, რუსეთი, რომლის გავლენა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შავ ზღვაზე მინიმუმამდე შემცირდა და ბუნებრივია ცდილობს, ძველი დიდება აღიდგინოს. ამიტომაც ეფოფრება რუსეთი ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ბუნებრივ სიმდიდრეებს და იქიდან წამოსულ ნავთობსა და გაზს ევროპულ სახელმწიფოებს რუსული გზებით აწვდის.

ეს გზა უკვე განაღდებული აქვს და ახლა უნდა, საქართველოს რკინიგზის შესყიდვით ჩვენს ქვეყანას სტრატეგიული მოქმედების არეალი ამოუქოლოს. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ზემოთ დასახელებული იმ უცნობი კომპანიების უკან, რომელთაც სურთ საქართველოს რკინიგზის პრივატიზება, სწორედ „რუსეთის ხელწერა“ იკითხებოდეს. მას რომ საამისოდ მადა საკმაოდ განვითარებული აქვს, ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ ცოტახნის წინათ გააფორმა ხელშეკრულება სომხეთთან, რომლის ძალითაც სომხეთის რკინიგზა გადაეცემა რუსეთს. ამით ის ფარულად თუ აშკარად ქმნის „სამხრეთ კავკასიის რკინიგზას“ და თუ ამას დაემატება საქართველოს რკინიგზაც, მისი ამბიცია მთლიანად შესრულდება და ეგ არის. თუმცა ამ უკანასკნელს ეს სულაც არ აძლევს ხელს, რადგან იგი საკუთარი ნავთობის გასატანად კარგახანია რუსულ ტრანსპორტს აღარ იყენებს.

აქ სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც დგება: თუ „საქართველოს რკინიგზა“ გაიყიდა მანამ, სანამ საქართველო-რუსეთს შორის სარკინიგზო მომოსვლა აღდგება, მაშინ ჩათვალეთ, რომ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენა საქართველოს აღარავინ ჰკითხავს და ის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ამ პატარა ბერკეტსაც დაკარგავს.

აი რამდენი რამ შეიძლება დაკარგოს საქართველომ საკუთარი მთავრობის უთაურობით, მით უფრო ახლა, როცა ის შეშფოთებულია ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით და აგონიაში მყოფმა აღარც კი იცის, რა მოიმოქმედოს, ოღონდ ბიუჯეტი და საკუთარი ჯიბე როგორმე დამატებითი სახსრებით შეავსოს და ყველაფერს იკისრებს. თვით იმასაც კი, რომ რკინიგზა ქვეყნის მთავარ კონკურენტს — რუსეთს მიყიდოს (ასე არ მიყიდა მთელი ენერგეტიკა?ძ. როგორც ჩანს, ჯერი ახლა რკინიგზაზეა! რა ვუყოთ, რომ ხელისუფლების მთავარი ჩალიჩმეისტერი კახა ბენდუქიძე ჩამოლაზორანტებულია. როგორც სარწმუნო წყაროებით ირკვევა, ქვეყნის ყიდვა-გაყიდვის საკითხებში კახას პრიორიტეტი ჯერაც პრესტიჟულია.

**ოთარ ხუციშვილი**

## ◎ ინფორმაცია

### ტურიზმში ბევრ ქვეყანას ჩამოვრჩებით

**მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შედგენილ ტურიზმისა და მოგზაურობის კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო მსოფლიოს 130 ქვეყანას შორის 72-ე ადგილს იკავებს.**

**მეზობელი ქვეყნებიდან საქართველო აღნიშნული მაჩვენებლით თურქეთს (54-ე ადგილი) და რუსეთს (64-ე ადგილი) ჩამორჩება, ხოლო უსწრებს აზერბაიჯანსა (79-ე ადგილი) და სომხეთს (89-ე ადგილი).**

**გარდა ამისა, საქართველო ტურიზმისა და მოგზაურობის კონკურენტუნარიანობის რეიტინგში, უკრაინაზე (77-ე ადგილი), მოლდოვასა (98-ე ადგილი) და ყირგიზეთზე (113-ე ადგილი) წინაა.**

**აღნიშნული რეიტინგის პირველ ხუთეულში შვეიცარია, ავსტრია, გერმანია, ავსტრალია და ესპანეთი შედიან.**

**ტურიზმისა და მოგზაურობის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის 3 ძირითადი ასპექტი — ტურიზმის სფეროს რეგულირება; ბიზნეს-გარემო და ინფრასტრუქტურა — ადამიანური, კულტურული და ბუნებრივი რესურსებია.**

ინტერპრესნიუსი


საქმე №2-81

# განჩინება

## გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

27 თებერვალი 2008 წელი ქ. გორი

**გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით პაპუაშვილმა**

ზეპირი მოსმენის გარეშე ერთპიროვნულად განიხილა შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველის ირაკლი ხაჩიძის განცხადება გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ.

**დაადგინა:** შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველის ირაკლი ხაჩიძის განცხადება დაკმაყოფილდეს.

მოწვეულ იქნეს შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ კრედიტორთა კრება 2008 წლის 7 მარტს 16 საათზე გორის რაიონული სასამართლოს შენობაში (მის. ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. №30ძ „რეპროდუქტორის“ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხის განაწილების გარკვევის მიზნით.

ამ განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე განთავსდეს სასამართლოს დაფაზე;

განჩინების ასლები გადაეგზავნოს კრედიტორებს.

განიმარტოს, რომ განჩინების გავრცელებიდან 2 (ორიძ დღის შემდეგ გამოქვეყნება შესრულებულად ითვლება გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის მიმართ;

განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

**მოსამართლე დავით პაპუაშვილი**

**რუსეთი თავს კომფორტულად მაშინ გრძნობს, როცა მტრად ამერიკას მოიაზრებს, აქაოდა ჩემი მტერი ისეთი ძლიერი ქვეყანაა, როგორიც ამერიკააო. ეს ერთგვარი რუსული არასრულფასოვნების კომპლექსია**



**პროგნოზი**

*რუსულ პოლიტიკურ წრეებში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება განიხილება ფორმულით - „აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა, მაგრამ კაპიტალი რუსულია“. ამგვარი მიდგომა, ახალი რომ არაა, პოლიტიკურ სამზარეულოში მეტ-ნაკლებად ჩახედულმა ადამიანებმა კარგად იციან. მაგრამ ის, რომ ამ თემის აქტუალიზაცია რუსეთში ხელისუფლების ცვლის, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აუღიარებლობის, სოჭის ოლიმპიადის მოახლოებისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივის ფონზე ხდება, მართლაც რომ საყურადღებოა.*

*რუსი ანალიტიკოსის ალექსეი მალაშენკოს პროგნოზით, მედვედევის მმართველობის პერიოდში საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები გაუმჯობესდება, მაგრამ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში “კარდინალური გადაწყვეტილებები მიღებული არ იქნება“.*

*მისივე აზრით, აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად ყველაზე კარგი გამოსავალი, შესაძლოა, კონფლიქტის ზონაში ევროპის სამშვიდობო ძალების განლაგება ყოფილიყო, მაგრამ კოსოვოში განვითარებული მოვლენების ფონზე, მას ასეთი პერსპექტივა შეუძლებლად მიაჩნია. ანალიტიკოსის აზრით, აფხაზეთის კონფლიქტი სწრაფად მხოლოდ რუსეთის დაშლის პირობებში მოგვარდებოდა, მაგრამ ვინაიდან ეს არარეალურია, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას ძალიან დიდი დრო დასჭირდება.*

*მალაშენკო დარწმუნებულია, რომ მედვედევი საგარეო ურთიერთობებში უფრო “რბილი ფრაზეოლოგიის“ პოლიტიკას გაატარებს და არა მარტო იმიტომ, რომ მისი ნათესავები აშშ-ში ცხოვრობენ, არამედ იმიტომ, რომ რუსეთს განვითარებისთვის დასავლეთის ინვესტიციები სჭირდება. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიიჩნევს, რომ მედვედევი იმაზე უფრო დამოუკიდებელი იქნება, ვიდრე ადრე იყო, ყველაფერი მას შემდეგ გაირკვევა, როცა იგი თავის გუნდს დააკომპლექტებს.*

*ანალიტიკოსის შეფასებით, რუსეთის ხელისუფლების ანტიდასავლური და ანტიამერიკული რიტორიკა მხოლოდ ადგილობრივ აუდიტორიაზეა გათვლილი, სინამდვილეში კი, რუსეთი დასავლეთთან და აშშ-სთან ეკონომიკურ სფეროში აქტიურად თანამშრომლობს.*

*მალაშენკო აფხაზეთის კონფლიქტის გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვარებას რუსეთის პოზიციას უკავშირებს და შენიშნავს, “აბსურდია, მაგრამ ფაქტია, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიაა, მაგრამ იქ მცხოვრები ადამიანები რუსეთის მოქალაქეები არიან და რუსეთი იძულებულია ამას ანგარიში გაუწიოს. რუსეთმა თავიდანვე იცოდა, რომ ამის გაკეთება ვითარებას ჩიხში შეიყვანდა, მაგრამ თავის დროზე ამაზე უარი არ უთქვამს.“*

*რუსეთის ახლადარჩეული პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევის მმართველობის პერიოდში რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესაძლო ცვლილებებზე „**ინტერპრესნიუსი**“ მოსკოვის კარნეგის ცენტრის ექსპერტს **ალექსეი მალაშენკოს** ესაუბრა.*

## ალექსეი მალაშენკო:

# აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო ფორმულა იქნებოდა „აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა, მაგრამ კაპიტალი რუსულია“

**— ბატონო ალექსეი, როგორ შეაფასებდით რუსეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს?**

— შესაფასებელი არაფერია, ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი. პუტინმა გადაწყვიტა, რომ რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი უნდა ყოფილიყო და დანიშნა კიდეც. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებიდან სხვადასხვა მონაცემი მოდის და სხვას აფიქსირებენ, არჩევნების შედეგები ყველა შემთხვევაში ეჭვს იწვევს. საერთოდ, მე ამ თემაზე მსჯელობის საბაბსაც ვერ ვხედავ.

**— რამდენად საფუძვლიანია რუსეთში გავრცელებული მოსაზრება, რომ მედვედევის გაპრეზიდენტების შემდეგ, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი?**

— არჩევნების დასრულების შემდეგ, მედვედევის გაკეთებული განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ცხადია, რომ ფრაზეოლოგია საგარეო პოლიტიკაში უფრო რბილი იქნება, ვიდრე პუტინის მმართველობის დროს.

არა მგონია, რომ ცვლილებები მოსალოდნელი იყოს 3-4 კვირაში. ახლა ყველაზე საინტერესო ისაა, როგორ გუნდს შემოიკრებს თავის ირგვლივ პრეზიდენტი მედვედევი. დასკვნების გაკეთება გუნდის ფორმირების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ მედვედევი იმაზე დამოუკიდებელი იქნება, ვიდრე ადრე იყო. ეს კი საგარეო პოლიტიკაზე როგორღაც აისახება. გარდა ამისა, მე არ ვიცი, თქვენ რას გულისხმობთ რუსეთის საგარეო პოლიტიკის სერიოზულ ცვლილებებში.

**— პრეზიდენტ პუტინის მეორე საპრეზიდენტო ვადა გამოკვეთილად ანტიდასავლური და ანტიამერიკული ნიშნით წარიმართა. რამდენად შენარჩუნდება მოსკოვის ამგვარი საგარეო პოლიტიკური კურსი?**

— დაპირისპირება მნიშვნელოვნად შემცირდება. რამდენადაც მე ვიცი, პრეზიდენტ მედვედევის ნათესავები აშშ-ში ცხოვრობენ.

კარგად თუ დაუკვირდებით, რუსეთის დაპირისპირება დასავლეთთან და იმავე აშშ-სთან მხოლოდ სიტყვიერი იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, ის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც რუსეთს დღეს აქვს, შეუძლებელი იქნებოდა. ვგულისხმობ, რუსეთში დასავლეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მასშტაბებს.

რუსეთის ხელისუფლების ანტიდასავლური და ანტიამერიკული რიტორიკა შიდამოხმარებისთვის, ადგილობრივ პუბლიკაზე იყო გათვლილი. რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები დასავლეთთან ისევე გაგრძელდება, როგორც ეს პუტინის მმართველობის დროს იყო.

**— რუსეთის ხელისუფლება ანტიდასავლურ და ანტიამერიკულ განცხადებებს რუსული საზოგადოების ანტიდასავლური განწყობილებების გამო აკეთებს?**

— რუსეთი თავს კომფორტულად მაშინ გრძნობს, როცა მტრად ამერიკას მოიაზრებს, აქაოდა ჩემი მტერი ისეთი ძლიერი ქვეყანაა, როგორიც ამერიკააო. ეს ერთგვარი რუსული არასრულფასოვნების კომპლექსია.

რუსეთში ანტიამერიკულ განწყობებს ხელოვნურად აღვივებდნენ. ნაციონალიზმის ზრდის პირობებში უკმაყოფილების ამერიკის მიმართულებით გადამისამართება ხელისუფლებას ხელს აძლევს. ასევე, ხელს აძლევს ყველაფრის მიგრანტებისათვის გადაბრალება, რომელთა რიცხვი რუსეთში თითქმის ყოველდღიურად იზრდება.

**— ამ თემაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ რუსეთის ანტიდასავლური და ანტიამერიკული განწყობილებების გამო ყველაზე ხშირად საქართველო ზარალდება...**

— მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთის საზოგადოებაში ანტიქართული განწყობილებაა. მე რუსეთში გამოკვეთილად ანტიქართული განწყობილებები არ შემიმჩნევია, მაშინაც კი, როცა ანტიქართული განწყობილებების შექმნა ხელოვნურად ინერგებოდა.

როდესაც ჩვენ ანტიკავკასიურ განწყობებზე ვსაუბრობთ, ცოტა სხვაა. ეს მიმართული იყო აზერბაიჯანელებისა და ჩრდილოკავკასიელების მიმართ, რომელიც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე აღმოცენდა და მას პირობითად საყოფაცხოვრებო ნაციონალიზმი შეიძლება ეწოდოს.

**— მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი დსთ-ს ქვეყნები იქნება. მისივე თქმით, პრეზიდენტის რანგში მისი პირველი ვიზიტი სწორედ დსთ-ს ერთ-ერთ ქვეყანაში შედგება. თქვენი ვარაუდით, დსთ-ს რომელ ქვეყანაში ჩავა პრეზიდენტი მედვედევი?**

— წარმოდგენა არა მაქვს. ალბათ იგი გაემგზავრება იქ, სადაც ჩასვლა იოლია. ყველაზე ადვილი ჩასასვლელი რუსეთის პრეზიდენტისთვის დღეისათვის უზბეკეთია.

უკრაინა და საქართველო გამორიცხულია. არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო სომხეთიც უნდა გამოვრიცხოთ. მედვედევი ამ რესპუბლიკებში თავგადასავლების საძიებლად არ წავა. ყაზახეთშიც არც ისე მარტივადაა საქმე როგორც ჩანს. ის ალბათ ისეთ რესპუბლიკას აირჩევს, საიდანაც გამარჯვებული დაბრუნდება.

**— აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ? რამდენად რეალურად გესახებათ ფსოუზე და როკის გვირაბზე რუსულ-ქართული საბაჟოების გახსნა?**

— იმის გათვალისწინებით, რომ ამ კონფლიქტებით ყველა დაიღალა, ვფიქრობ, რომ ლოკალური პრობლემები გადაწყდება, მაგრამ კარდინალურ გადაწყვეტილებები მიღებული არ იქნება. ის, რისი გაკეთებაც პუტინისათვის უხერხული იყო, იმას მედვედევი გააკეთებს, ვგულისხმობ, საჰაერო მიმოსვლის აღდგენას, ვიზების საკითხის გადაწყვეტას ქართული ღვინოებისა და “ბორჯომის“ რუსულ ბაზარზე დაბრუნებას.

რაც შეეხება საბაჟოების ფსოუზე და როკის გვირაბზე გახსნას, ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები.

**— აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ლიდერები თბილისსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დათბობის და მოსკოვის მიერ მათი დამოუკიდებლობის აუღიარებლობის გამო, უკმაყოფილებას არ მალავენ. რუსეთი მზადაა საქართველოსთან ერთად ისეთი ნაბიჯები გადადგას, რომელიც სოხუმსა და ცხინვალს არ მოეწონება?**

— თუ თქვენ საკუთარ თავს მათ ადგილზე დააყენებთ, თქვენთვის უკმაყოფილების მიზეზი ნათელი იქნება. აუღიარებლობის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკის გატარებას გააგრძელებს.

აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით გაკეთებულ ყველა განცხადებას მშვიდად და გარკვეული იუმორით ვუყურებ, იმიტომ რომ ამ კონფლიქტების მოგვარება ჩვენ ძალიან დიდ ხანს მოგვიწევს, შესაძლოა, ჩვენ მათ მოგვარებას ვერც მოვესწროთ.

**— ძალიან პესიმისტურ პროგნოზს ხომ არ აკეთებთ? თქვენი ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, პესიმისტური განწყობილება იმას ხომ არ უკავშირდება, რომ აფხაზეთში დაუფარავად ლაპარაკობენ აფხაზეთის კონფლიქტის და შესაბამისად მასთან დაკავშირებული პროცესის “ტაივანიზაციაზე,“ რამდენად რეალურია ასეთი პროგნოზი?**

— ტაივანს აფხაზეთი აშკარად ვერ ქაჩავს. სასაცილოა ამაზე ლაპარაკი, ტაივანში ხომ გრანდიოზული მასშტაბებია. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო ფორმულა იქნებოდა „აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა, მაგრამ კაპიტალი რუსულია“. თუ ოდესმე კომპრომისი მოიძებნა, ლაპარაკი იქნება სამეულის — რუსულ-ქართულ-აფხაზურ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ფორმულით „აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა, მაგრამ კაპიტალი რუსული“.

როგორ შეიძლება ამის მიღწევა და შეთავსება, არ ვიცი. ერთი მხრივ, საქართველოს აფხაზეთში დაბრუნება რომ აუცილებელია, როგორ არ ვიცი. ვიცი, რომ ამ შემთხვევაში, ძალიან საინტერესო სიტუაცია შეიქმნებოდა.

ახლოვდება სოჭის ოლიმპიური თამაშები, მათი მზადების პირობებში საქართველოს გალიზიანება სისულელეა. გამწვავებული ურთიერთობების მიუხედავად, სოჭის ოლიმპიადისათვის განკუთვნილ რაღაც ობიექტებზე რუსეთის მხრიდან საქართველოსათვის კაპიტალის ჩადების შეთავაზება კარგი ნაბიჯი იქნებოდა.

იმისთვის, რომ რუსეთმა და საქართველომ აფხაზეთში აქტიურად ითანამშრომლონ ეკონომიკურ სფეროში, საჭიროა აფხაზური მხარის ჩართვაც. დამოუკიდებლობაზე ადგილობრივმა ბიჭებმა საკმაოდ ბევრი იშოვეს და ისინი ასე იოლად არავის არაფერს არ დაუთმობენ.

კონფლიქტი ძალიან ღრმადაა შესული და ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ კონფლიქტების საბოლოოდ მოგვარებას შეიძლება ჩვენ ვერ მოვესწროთ.

იმისთვის, რომ ბევრი რამ ადგილიდან დაიძრას, ძალიან ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. ვიდრე ასე არ არის, უახლოეს მომავალში ვერაფერს სასიკეთოს ვერ ვხედავ. შესაძლებელია რუსეთი დაიშალოს, მაშინ ვითარება საერთოდ შეიცვლებოდა.

გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო აფხაზეთში ევროპის სამშვიდობო ძალების განლაგება, მაგრამ კოსოვოს ფონზე ეს შეუძლებელია.

მედვედევის მმართველობის პერიოდში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ცალკეული და კონკრეტული პრობლემები გადაწყდება, მაგრამ კარდინალური გადაწყვეტილებები მიღებული არ იქნება.

თავად განსაჯეთ, აბსურდია, მაგრამ ფაქტია, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიაა, მაგრამ იქ მცხოვრები ადამიანები რუსეთის მოქალაქეები არიან და რუსეთი იძულებულია ამას ანგარიში გაუწიოს. რუსეთმა თავიდანვე იცოდა, რომ ამის გაკეთება ვითარებას ჩიხში შეიყვანდა, მაგრამ ამაზე უარი არ უთქვამს.

**კობა ბენდელიანი**

№ 42. ხუთშაბათი, 6 მარტი. 2008 წელი.

● პარიზში ოქრუაშვილთან ინტერვიუსათვის გაემგზავრა ოპოზიციური ტელეკომპანიის „კავკასიის" დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

№ 42. ხუთშაბათი, 6 მარტი, 2008 წელი.

# რობერტ სიმონსის აზრით, ბუქარესტის სამიტზე საქართველოს საკითხი არ გადაწყდება

**ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში რობერტ სიმონსმა 4 მარტს რადიოსადგურ „ექო მოსკვის" ეთერში განაცხადა, რომ ნატოს სამიტზე, რომელიც ბუქარესტში 2-დან 4 აპრილამდე გაიმართება, საქართველო ვერ მიიღებს ნატოში შესვლისათვის მოქმედების გეგმას.**

„ნაკლებად სარწმუნოა, რომ საქართველომ ასეთი მიწვევა მიიღოს, რადგან საქართველოს ჯერ წინ არ წაუწევია წევრობისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ ფართო დიალოგი გვაქვს საქართველოსთან, ვაღიარებთ პერსპექტივაში საქართველოს სურვილს შეუერთდეს ნატოს. მაგრამ არ შეგვიძლია იმის შეფასება, თუ რამდენი დრო დასჭირდება ამას და ამგვარი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ბუქარესტში არ იქნება მიღებული", – განაცხადა რობერტ სიმონსმა.



„ვფიქრობ, რომ საქართველომ, ისევე როგორც ნატოში შესვლის მსურველმა სხვა ქვეყნებმა, უნდა განაგრძოს რეფორმების პროცესის განვითარება. მაგალითად, ვნახავთ, თუ როგორ წარიმართება საპარლამენტო არჩევნები. თვალს ვადევნებთ რეფორმების პროცესს, ვხედავთ პროგრესს, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალზე ბევრია. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი რეფორმებია გასატარებელი მართლმსაჯულების ორგანოების სფეროში, და თუ საქართველოს ნატოსთან შეერთება სურს, მან ეს მუშაობა უნდა განაგრძოს. რამდენი ხანი დასჭირდება ამას, ჩვენ ვერ ვიტყვით და, რა თქმა უნდა, ნატო ამ საკითხს ბუქარესტში არ გადაწყვეტს", – აღნიშნა მან.

ამავე დროს რობერტ სიმონსმა ხაზი გაუსვა, რომ გამოთქვამს თავის აზრს მხოლოდ როგორც საერთაშორისო სამდივნოს თანამშრომელი და ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას ნატოს წევრი ქვეყნები მიიღებენ.

REGNUM

# „ერთიანი საქართველო" პარიზში

**34 წლის ყოფილი გენერალური პროკურორი, შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრი, ამჟამად რადიკალური ქართველი ოპოზიციონერი და დევნილი ირაკლი ოქრუაშვილი დიდ პოლიტიკაში დაბრუნდა. მან გადაწყვიტა საზღვარგარეთიდან პირადად უხელმძღვანელოს შარშან შემოდგომაზე შექმნილ მოძრაობას „ერთიანი საქართველოსათვის", რომელიც გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნულ საბჭოში შედის. პოლიტიკოსი აპირებს მაისის არჩევნებში კენჭი იყაროს საქართველოს პარლამენტში.**

2007 წლის სექტემბერში ოქრუაშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მამხილებელი სიტყვით გამოვიდა. რის შემდეგაც თავად ოქრუაშვილს კორუფციაში დასდეს ბრალი. პატიმრობაში ყოფნისას მან უარყო პრეზიდენტის მისამართით გამოთქმული ბრალდებები და მალე 6 მილიონი დოლარის გირაოთი გამოუშვეს. ამის შემდეგ ოქრუაშვილი გერმანიაში მიემგზავრება – საქართველოს გენერალური პროკურატურის ვერსიით, სამკურნალოდ.

ნოემბერში საქართველოს მოთხოვნით ოქრუაშვილი გერმანიაში დააკავეს. იანვარში იგი საფრანგეთს გადასცეს, რადგან თბილისში ამ ქვეყნის საელჩოში ჰქონდა მიღებული შენგენის ვიზა. ირაკლი ოქრუაშვილი თავდებით გამოუშვეს და ახლა იგი პარიზში ერთ-ერთ ქართულ ოჯახში ცხოვრობს და საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიღების იმედი აქვს. პარიზის სასამართლო ექსტრადიციის შესახებ საკითხს 16 აპრილს განიხილავს. სამშობლოში ყოფილ მაღალჩინოსანს 25 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

როგორც „ვრემია ნოვოსტეის" განუცხადეს მოძრაობაში „ერთიანი საქართველოსათვის", ოქრუაშვილს შეუძლია თავად, საზღვარგარეთიდან თუნდაც ტელეფონით, უხელმძღვანელოს პარტიას, რომელიც მარტის დამლევამდე გამართულ ყრილობაზე მას თავმჯდომარის პოსტზე აღადგენს. სანამ ოქრუაშვილი დაპატიმრებული იყო, მოძრაობის მეთაურისა და პოლიტიკური მდივნის პოსტები დეპუტატებს გიორგი თორთლაძესა და გიორგი ცაგარეიშვილს ეკავათ. არ არის გამორიცხული, რომ ისინი საერთოდ დატოვებენ მოძრაობას. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაცემებით, ოქრუაშვილს მათ მიმართ პარტიული სალაროს თაობაზე კითხვები გაუჩნდა.

ოქრუაშვილის მოძრაობაში შიდაპარტიული უთანხმოება კიდევ ერთი დასტურია იმის, რომ ქართული ოპოზიციის რიგებში ადრინდელი ერთიანობა აღარ არსებობს. ამ დღეებში ოპოზიციის საბჭო დატოვა რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას. ახლა საბჭოში, რომელსაც დეპუტატი ლევან გაჩეჩილაძე მეთაურობს, მხოლოდ 8 ორგანიზაცია დარჩა. წარმოებს კონსულტაციები ერთიანი საარჩევნო სიის ჩამოყალიბების შესახებ, რომელშიც ოქრუაშვილიც შევა.

რადიკალური ოპოზიციონერი აპირებს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი მხილებებით დაბრუნდეს. მისმა ადვოკატმა ეკა ბესელიამ, რომელსაც პარტიაში გენერალური მდივნის პოსტი უკავია, „ვრემია ნოვოსტეის" უთხრა, რომ ოქრუაშვილს ხელისუფლების მამხილებელი სერიოზული დოკუმენტები აქვს: „ისინი საიმედო ხელშია და საჭირო დროს გამოქვეყნდება". შესაძლოა, ეს სულ მალე მოხდეს – პარიზში ოქრუაშვილთან ინტერვიუსათვის გაემგზავრა ოპოზიციური ტელეკომპანიის „კავკასიის" დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი.

მიხეილ ვიგნანსკი.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# საქართველო შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატს აუქმებს

**საქართველომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ იმუშავებს შერეულ საკონტროლო კომისიაში, რითაც, არსებითად, სტატუსი ჩამოართვა კომისიის რუს თანათავმჯდომარეს იური პოპოვს, რომელიც 4 მარტს ვიზიტად გაემგზავრა თბილისში. საქართველოს ახალმა სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხში თემურ იაკობაშვილმა „ნეზავისიმაია გაზეტას" განუცხადა, რომ მზადაა რუსი დიპლომატი მიიღოს მხოლოდ როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და შუამავალი კონფლიქტის მოწესრიგებაში, მაგრამ არა როგორც შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე.**

სახელმწიფო მინისტრის აზრით, შერეული საკონტროლო კომისია არ წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც მხარეებს დააახლოებს კონფლიქტის გადაჭრასთან, ამიტომ თბილისი მისი შემდგომი ფუნქციონირების აზრს ვერ ხედავს. სხვათა შორის, როგორც „ნეზავისიმაია გაზეტას" რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს, ამჯერად კომისიის სხდომა არც იყო დაგეგმილი: პოპოვი უბრალოდ აპირებდა შეხვედროდა თავის ქართველ და ოს კოლეგებს და სწვეოდა კონფლიქტის ზონას. და მაინც მეტად პიკანტური სიტუაცია შეიქმნა: რუს დიპლომატს მოსკოვიდან გაფრენისას ერთი სტატუსი ჰქონდა, ხოლო ჩასულს უკვე სხვა სტატუსი. სხვათა შორის, სმოლენსკის მოედანზე ამტკიცებენ, რომ თბილისს არ აქვს უფლება პოპოვს ჩამოართვას შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის სტატუსი. „ეს მეტად უცნაურია, – განუცხადა „ნეზავისიმაია გაზეტას" რუსეთის ფედერაციაში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელმა დიმიტრი მედოევმა. – ეს ვიზიტი ხომ წინასწარ იყო შეთანხმებული, პოპოვს ვიზა მისცეს, შედგა საქართველოში მისი ყოფნის გრაფიკი. ყველა მისი ნაბიჯი საქართველოს მხარესთან იყო შეთანხმებული. პოპოვი ჩვენთვის ნებისმიერ შემთხვევაში შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარედ დარჩება. ზუსტად ამ რანგით მიიღებს ოსეთის მხარე მას ცხინვალში".

შერეული საკონტროლო კომისია 1992 წლის სოჭის შეთანხმებების შესაბამისად შეიქმნა, რომლებზეც ხელი აქვთ მოწერილი რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს ბორის ელცინსა და ედუარდ შევარდნაძეს. ამ შეთანხმებებმა დაასრულა სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედება. მათ თანახმად კონფლიქტის ზონაში შეყვანილია სამმხრივი (ქართულ-ოსურ-რუსულიძ სამშვიდობო ძალები, რომლებიც მიღწეულ ხელშეკრულებათა შესაბამისად რეგიონში უნდა დარჩნენ კონფლიქტის სრულ მოწესრიგებამდე. შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატის გაუქმება, არსებითად, სამშვიდობოებს კანონგარეშე აყენებს.

„არსებითად ეს ნიშნავს, რომ სამშვიდობო ძალებს უუქმდებათ მანდატი, რადგან იგი საკონტროლო კომისიის მიერ არის მინიჭებული, – მიაჩნია დიმიტრი მედოევს. – სამშვიდობოების სარდალს და ყველა სამხედრო ხელმძღვანელს მხარეები შერეული საკონტროლო კომისიის სხდომებზე ნიშნავენ. საკონტროლო კომისიის მუშაობის გაუქმებით, საქართველოს მხარე სამშვიდობოებს სამართლებრივ საფუძველს აცლის და მათ კანონგარეშე აყენებს. რის შემდეგაც შესაძლებელია მათი გაყვანის მოთხოვნა და საერთოდ სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტა".

სხვათა შორის, იაკობაშვილმა „ნეზავისიმაია გაზეტას" განუცხადა, რომ თბილისი არ აპირებს სამშვიდობო ძალებზე და კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის შესახებ შეთანხმებებზე უარის თქმას. „სხვა დანარჩენი იქ არ მუშაობს, – თქვა სახელმწიფო მინისტრმა. – შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატმა შესაძლებლობები ამოწურა. ჩვენ ვთავაზობთ სხვა ფორმატებს და ბატონ პოპოვთან ვიმსჯელებთ მათ შესახებ".

ოსური მხარე ამ განცხადებებს „არასერიოზულს" უწოდებს. სამხრეთ ოსეთში შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატი ეფექტიანად მიაჩნიათ. იქ აღნიშნავენ, რომ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის მთელი ხნის განმავლობაში არც ერთი სამხედრო მოსამსახურე არ დაღუპულა და 1992 წლიდან 2003 წლამდე მხარეთა თანდათანობითი დაახლოება ხდებოდა. „შერეული საკონტროლო კომისიის მიმართ იერიში სააკაშვილის გუნდის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო, – ამტკიცებს მედოევი. – მას მერე ქართულ მხარეს არც ერთ ოქმზე არ მოუწერია ხელი. ბოლოს კომისიის სხდომა 2007 წლის ოქტომბერში თბილისში ეუთოს მისიის ოფისში გაიმართა და ფაქტობრივად საქართველოს მიზეზით ჩაიშალა. რაც შეეხება რეინტეგრაციის სამინისტროს, ასეთი პარტნიორი მოლაპარაკებაში ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ არსად ინტეგრირებას არ ვაპირებთ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლის აზრით, ამ სიტუაციაში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩაივლის იური პოპოვის ახლანდელი ვიზიტი თბილისში.

მარინა პერევოზკინა

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# სამხრეთ ოსეთს კოსოვოს კვალზე სურს წასვლა

**სამხრეთ ოსეთის პარლამენტი საერთაშორისო გაერთიანებას სთხოვს აღიაროს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და საამისოდ „კოსოვოს პრეცედენტს" იმოწმებს. თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტარებს აგრეთვე მიაჩნიათ, რომ „სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არ ეწინააღმდეგება ერის თვითგამორკვევის უფლებას, ვინაიდან სამხრეთ ოსეთის**




**ტერიტორიაზე საქართველოს სუვერენიტეტის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს".**

პარლამენტართა აზრით, „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი არსებობის 17-წლიანი პერიოდი ადასტურებს მის ცხოველუნარიანობას და საჭიროა მხოლოდ, მის სუვერენიტეტს ლეგიტიმურობა მიენიჭოს გაეროს წესდების შესაბამისად". საერთაშორისო გაერთიანებისადმი თავიანთ მიმართვაში სამხრეთ ოსეთის პარლამენტის დეპუტატები აღნიშნავენ, რომ „კოსოვოს პრეცედენტის" წარმოქმნით გაჩნდა ის ახალი დამაჯერებელი დასტური, რომ რეგიონული კონფლიქტების გადაჭრას მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არ უდევს საფუძვლად".

გარდა ამისა პარლამენტი აღნიშნავს, რომ 2006 წლის ნოემბრის რეფერენდუმზე რესპუბლიკის საარჩევნო უბნებზე მოსულ მცხოვრებთა 99 პროცენტმა საერთაშორისო დამკვირვებელთა თანდასწრებით დამოუკიდებლობას მისცა ხმა, იტყობინება ბი-ბი-სი.

სუვერენიტეტის აღიარების სასარგებლოდ დასკვნებს შორის რესპუბლიკის პარლამენტარები ასახელებენ „ერთ სახელმწიფოში საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის თანაარსებობის შეუძლებლობას", აგრეთვე იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის „აბსოლუტურ უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეობა აქვს და თავის ბედს რუსეთთან შემდგომ დაახლოებას უკავშირებს".

„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა ვალდებულებას კისრულობს კვლავაც შეასრულოს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმა და ადასტურებს მშვიდობისა და სტაბილურობისადმი ერთგულებას", – ნათქვამია მიმართვაში.

ამ ფაქტს ოფიციალური თბილისის კომენტარი ჯერ არ მოჰყოლია. კიდევ ერთი თვითაღიარებული რესპუბლიკის, აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა 21 თებერვალს განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის მეთაურებთან ერთად უახლოეს ხანში მოამზადებენ დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით სამოქმედო გეგმას. „ერთ კვირაში – 10 დღეში გაიმართება სამი თვითაღიარებული რესპუბლიკის მეთაურთა შეხვედრა, სადაც ჩვენი შემდგომი მოქმედების ძირითად გეგმას შევიმუშავებთ", – თქვა პრეზიდენტმა.

ИЗВЕСТИЯ

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 32-85-76; 98-65-87

№ 42. ხუთშაბათი. 6 მარტი. 2008 წელი.

## ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით საქართველოს გენერალური პროკურატურის ბალანსზე რიცხული მეორადი მოწყობილობებისა და დანადგარების და შპს „საქართველოს რკინიგზას“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული კონტეინერების პრივატიზებას:

**შენიშვნა:** 1. კონტეინერების საიდენტიფიკაციო ნომრების ჩამონათვალს თითოეული ლოტისათვის მიიღებთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოში.

2. კონტეინერები განლაგებულია ქ.თბილისში, ვანის ქ. №1–ში

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 29 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 31 მარტს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული), ანგარიში 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. № 4, მე-4 სართული, ტელ: 93-37-64.

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2008 წლის 29 თებერვლის № 7 (553)-ში.

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 110 [illegible] (3 [illegible]) [illegible] | 11000 | 200 | 3300 | 10 |
| 2 | [illegible] | 110 [illegible] (3 [illegible]) [illegible] | 11000 | 200 | 3300 | 10 |
| 3 | [illegible] | 112 [illegible] (3 [illegible]) [illegible] | 11200 | 200 | 3300 | 10 |
| 4 | [illegible] | [illegible] 15 [illegible] | 120 | 20 | 40 | 10 |
| 5 | [illegible] | [illegible] 15 [illegible] | 120 | 20 | 40 | 10 |
| 6 | [illegible] | [illegible] 15 [illegible] | 120 | 20 | 40 | 10 |
| 7 | [illegible] | [illegible] 15 [illegible] | 120 | 20 | 40 | 10 |
| 8 | [illegible] | [illegible] 15 [illegible] | 120 | 20 | 40 | 10 |
| 9 | [illegible] | [illegible] 15 [illegible] | 120 | 20 | 40 | 10 |

## ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის შესახებ:

1. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 0,15 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 175 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით (ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. № 49-ა).

2. თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 0,07 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 175 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 5 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით (ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, ქ.წამებულის გამზ. № 8).

ჯართის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის დამუშავება და გატანა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 27 თებერვლიდან 28 მარტის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 28 მარტს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული), ანგარიში 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. № 4, მე-3 სართული, ტელ: 93-37-64.

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2008 წლის 27 თებერვლის № 6 (552)-ში.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 32-85-76; 98-65-87

## ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

| № | ბალანს მფლობელი ორგანიზაცია | ავტომობილის მარკა სახ. № | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | „ბე“ აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1(3) | შპს „საქწიგნის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ავტოტრანსპორტი | გაზ-53-12-01 სახ.№ ADE-469 | 1989 | 500 | 50 | 150 |

**შენიშვნა**: აღნიშნულ ავტომანქანაზე შემოსულია განაცხადი: აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 28 მარტის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 28 მარტს 16:30 საათზე.

**შენიშვნა**: მონაწილის ბილეთის ღირებულება თითოეული ლოტისთვის განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით

თანხა ჩაირიცხება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული), ანგარიში 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. № 4, მე-3 სართული, ტელ: 93-37-64.

**შენიშვნა**: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2008 წლის 27 თებერვლის № 6 (552)-ში.

## ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

| № | ბალანს მფლობელი ორგანიზაცია | ავტომობილის მარკა სახ. № | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | „ბე“ აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1(10) | სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“ | HYUNDAI ACCENT 1.5 GLS სახ.№ACB-711 | 1999 | 900 | 50 | 270 |

**შენიშვნა**: აღნიშნულ ავტომანქანაზე შემოსულია განაცხადი: აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 31 მარტის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 31 მარტს 16:30 საათზე.

**შენიშვნა**: მონაწილის ბილეთის ღირებულება თითოეული ლოტისთვის განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

თანხა ჩაირიცხება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული), ანგარიში 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. № 4, მე-3 სართული, ტელ: 93-37-64.

**შენიშვნა**: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2008 წლის 29 თებერვლის № 7 (553)-ში.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

iesc

## მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი
## გრანტების საკონკურსო პროგრამა
## განცხადება გრანტების პროგრამის V რაუნდის შესახებ

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსი (IESC) აცხადებს გრანტების საკონკურსო პროგრამის V რაუნდს. გრანტების პროგრამის დაფინანსება ხორციელდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ უცხოური დახმარების შესახებ აქტის საფუძველზე და განიხილება, როგორც საქართველოს კერძო სექტორის განვითარებისათვის გათვალისწინებული დახმარება.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი გახლავთ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი პროექტი, რომელსაც საქართველოში საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსი ახორციელებს. პროექტი, რომლის მანდატი საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მოიცავს, ყურადღებას შემდეგ ინიციატივებზე ამახვილებს: ტურიზმის განვითარება, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური კეთილდღეობის ზრდა, დახმარება ბიზნესასოციაციებს, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ბიზნესსაკონსულტაციო ქსელის შექმნა, და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება ტრენინგების საშუალებით.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს გრანტების საკონკურსო პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს თავიანთი წვლილი შეიტანონ კერძო სექტორის განვითარებაში.

გრანტების საკონკურსო პროგრამის V რაუნდის ამოცანას წარმოადგენს სვანეთის, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ტურისტული ადგილის, კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა ისეთი პროექტების განხორციელების გზით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო გარემოს შექმნას და ეფექტიანი და დინამიური ტურიზმის სექტორის და ადგილობრივი სოციუმის განვითარებას გარემოსათვის ზიანის მიყენების და კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურობის შელახვის გარეშე.

ზემოაღნიშნული ამოცანების განხორციელების მიზნით, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი უპირატესობას მიანიჭებს განაცხადებს შემდეგი სახის პროექტებზე:

სამი (3) გრანტი - სამი სასტუმრო სახლის განახლება მესტიასა და უშგულში.
გრანტის ხანგრძლივობა – 4 თვე, მაქსიმალური თანხა – 25,000 აშშ დოლარი.

ერთი (1) გრანტი - მესტიაში არსებული კაფეს განახლება ან ახლის გახსნა.
გრანტის ხანგრძლივობა – 4 თვე, მაქსიმალური თანხა – 15,000 აშშ დოლარი.

ერთი (1) გრანტი - მესტიაში ინტერნეტ-კაფეს გახსნა.
გრანტის ხანგრძლივობა – 4 თვე, მაქსიმალური თანხა – 15,000 აშშ დოლარი.

ერთი (1) გრანტი - ბენზინგასამართი/მანქანის შესაკეთებელი სადგურის განახლება/გახსნა მესტიაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე.
გრანტის ხანგრძლივობა – 4 თვე, მაქსიმალური თანხა – 20,000 აშშ დოლარი.

ერთი (1) გრანტი - სუვენირების/ხელნაკეთი ნივთების სალონის გახსნა.
გრანტის ხანგრძლივობა – 4 თვე, მაქსიმალური თანხა – 15,000 აშშ დოლარი.

ერთი (1) გრანტი - ზემო სვანეთის ტურისტული ასოციაციის/სააგენტოს გახსნა მესტიაში;
გრანტის ხანგრძლივობა – 4 თვე, მაქსიმალური თანხა – 10,000 აშშ დოლარი.
ხუთი (5) გრანტი –ზემო სვანეთში ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული ხუთი საუკეთესო ბიზნეს-იდეის განხორციელება.
გრანტის ხანგრძლივობა – 3 თვე, მაქსიმალური თანხა – 9,000 აშშ დოლარი.

გრანტები გაიცემა მცირე და საშუალო ზომის კერძო საწარმოებზე, ბიზნეს-ასოციაციებზე, კოოპერატივებზე და ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც ესაჭიროებათ კაპიტალი ბიზნესსაქმიანობაში ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად. ***სავალდებულოა მინიმუმ 30 %-იანი ფინანსური თანადაფინანსება გრანტის განაცხადის წარმომდგენის მხრიდან.***

ამა წლის 11 მარტს 14:00 საათზე, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი გამართავს გრანტების საკონკურსო პროგრამის V რაუნდის პრეზენტაციასა და კონსულტაციებს ქ. ზუგდიდის გამგეობის შენობაში, რუსთაველის ქ. 90. დამატებითი კონსულტაციები გაიმართება 12 მარტს ქ. ზუგდიდში (მისამართი: რუსთაველის ქ. 89). განაცხადი საგრანტო პროექტის წარმოდგენის შესახებ სრულად უნდა აკმაყოფილებდეს განაცხადის წარმოდგენის ოფიციალურ წესებში განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელიც ამა წლის 6 მარტს გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდზე: **www.iesc.ge**. განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 8 აპრილი (16:00 საათი).

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ოფისში ტელეფონებზე: 92-23-55/92-01-80/92-11-08

№ 42. ხუთშაბათი, 6 მარტი, 2008 წელი.

# სპორტი

**გმიროზიდან ანტიგმიროზამდე მართლაც რომ მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ბუნებრივია, ასევეა პირიქითაც, რაშიც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა სევილიაში გამართულმა ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალურმა შეხვედრამ**



## ორბიტაზე

### მდიდარი კაკა



**„მილანის“ ბრაზილიელი მოთამაშე კაკა სათავეში უდგას მსოფლიოს იმ მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელების 50-კაციან სიას, რომელიც პორტუგალიურმა Futbol Firance გამოაქვეყნა. კაკას წლიური ხელფასი 9 მილიონი ევროა. ის თითქმის ნახევარი მილიონით უსწრებს „ბარსელონელ“ თანამემამულეს რონალდინიოს, მესამე ადგილზეა ფრენკ ლემპარდი „ჩელსიდან“ – 8,16 მილიონი.**

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თანხაში არაა გათვალისწინებული ფეხბურთელთა სარეკლამო კონტრაქტები. არადა, მათ საერთო შემოსავლებში მას ლომის წილი აქვს. მაგალითად, შარშან რონალდინიომ „ჯიბეში“ 24 მილიონი ევრო „ჩაიდო“, საიდანაც 15 მილიონი სწორედ სარეკლამო კონტრაქტიდან მიიღო.

უკრაინელი ანდრეი შევჩენკო 7,8-მილიონიანი ხელფასით მეექსე ადგილზეა.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავი, როგორიც დევიდ ბექჰემია, ამ სიაში მხოლოდ ორმოცდამეოთხეა, რადგან მისმა ახალმა კლუბმა „ლოს-ანჟელეს გალაკსიმ“ მისთვის წელიწადში მხოლოდ 4,5 მილიონი ევრო „გაიმეტა“.

იმასაც ვიტყვით, რომ ამ სიაში „გამსვლელი ქულა“ 4,2 მილიონი ევრო იყო.

### თებერვლის, სიმბოლური

**სპორტული გამოცემების ევროპულმა ასოციაციამ (ESM) ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატების შედეგების მიხედვით შეადგინა თებერვლის სიმბოლური ნაკრები.**



თებერვლის ნაკრებში მოხვდნენ: ადლერი („ბაიერი“ – 3 ხმა), დანიელ ალვეში („სევილია“ – 3), ფერდინანდი („მანჩესტერ იუნაიტედი – 3), ლესკოტი („ევერტონი“ – 4), კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი“ – 5), ჩავი („ბარსელონა“ – 5), მესი („ბარსელონა“ – 5), მანსინი („რომა“ – 4), ლუის ფაბიანუ („სევილია“ – 6), ადებაიორი („არსენალი“ – 4), ბენზემა („ლიონი“ – 5).

აღსანიშნავია, რომ სიმბოლური ნაკრების თავიანთ ვარიანტში შეიყვანეს კახა კალაძე რუსულმა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“, აგრეთვე დანიურმა და ბელგიულმა სპორტულმა გამოცემებმა.

### ინტერვიუ საუნიდან

**დიდი ხანია, თავის სამშობლოში, გერმანიაში პოპულარული მოცურავე ბრიტა კამრაუ-კორეშტაინი ცნობილია არა მხოლოდ წარმატებებით სპორტის ამ სახეობაში, არამედ გულახდილი ინტერვიუებითაც, ერთ-ერთი მათგანი ამ დღეებში რომ გამოქვეყნდა.**

თავად ინტერვიუსთვის ადგილის შერჩევითაც აოცებს მკითხველებს ეს 28 წლის ქალიშვილი. კორესპონდენტი მან მიიწვია საუნაში, რომელიც ამ დროისთვის 90 გრადუსამდე იყო გახურებული.

„მშვიდად შემიძლია სიარული საუნაში მოპირდაპირე სქესის წარმომადგენლებთან ერთად, – განაცხადა მსოფლიო ჩემპიონმა, – აბსოლუტურად არ მრცხვენია ჩემი სიშიშვლისა. მე ხომ მუდამ ტიტველი ვბანაობ“.

ლამაზმანმა ისიც განაცხადა, თუ რატომ თქვა უარი „პლეიბოისთვის“ გადაღებაზე – იურისპრუდენციაში ვაპირებ მუშაობას და არ მინდა ამან ხელი შეუშალოს ჩემს მომავალ კარიერაშიო.

ბრიტას ისიც არ დაუმალავს, რომ არ აკმაყოფილებს თავისი მკერდის მცირე ზომები. სიამოვნებით მოვიშორიდი ზედმეტს ბარძაყებიდან და ძუძუებში ჩავიმატებდი, თუმცა ასეც არავინ მიწუნებსო.



## ფეხბურთი

# ნდობა დაუფასდა

**გმიროზიდან ანტიგმიროზამდე მართლაც რომ მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ბუნებრივია, ასევეა პირიქითაც, რაშიც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა სევილიაში გამართულმა ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალურმა შეხვედრამ.**



„ფენერბახჩეს“ მეკარე ვოლქან დემირელზე მოგახსენებთ, რომელმაც საწყის ათ წუთში დანი ალვეშისა და კეიტას შორეული დარტყმების შემდეგ ბავშვური შეცდომები დაუშვა და პარტნიორთა მდგომარეობა თითქმის უიმედო გახადა – 0:2. ბევრი მწვრთნელი, დაგვეთანხმებით, თავის ხელმოცარულ შეგირდს მაშინვე შეცვლიდა, მაგრამ თურქული კლუბის ლეგენდარული ბრაზილიელი თავკაცი ზიკო ბოლომდე ენდო გოლკიპერს და ერთგულება დაუფასდა კიდეც – მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში დემირელმა სამი (!) დარტყმა მოიგერია და „ფენერი“ პირველად გაიყვანა მეოთხედფინალში. რაც შეეხება უეფას თასის მფლობელს, ანდალუზიელები პირველად მონაწილეობდნენ ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში და, ეტყობა, გამოუცდელობამ დაალალატათ.

პირველი რაუნდის მსგავსად განვითარდა მოვლენები „სან-სიროზე“, სადაც ლონდონის „არსენალი“ გამუდმებით უტევდა საკმაოდ მოზერებულ მასპინძლებს. სამართალმა პური, ბოლოსდაბოლოს, უკანასკნელ წუთებზე ჭამა – ფაბრეგასმა და ადებაიორმა „მილანს“ წითელ შუქი აუნთეს – 2:0.

დანარჩენი წყვილების ბრძოლებში ბევრი რამ პირველი დუელის შემდეგ უკვე გადაწყვეტილი იყო და ამიტომ საპასუხო თამაშებს, რომ იტყვიან, მარილი აკლდა, თუმცა ფავორიტებმა მოკრძალებული გამარჯვებების მოპოვება მაინც მოახერხეს: „მანჩესტერი“ – „ლიონი“ 1:0 (რონალდუ), „ბარსელონა“ – „სელტიკი“ 1:0 (ჩავი). კატალონიელთა წარმატება მესის მორიგმა ტრავმამ გააფერმკრთალა.

## ჭადრაკი

# თბილისიდან – თბილისში ბარსელონის გავლით

**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 65-ე ეროვნულ ჩემპიონატში 16 წლის ქეთი წაწალაშვილი და 17 წლის სოფიკო გურამიშვილიც მონაწილეობენ. ისინი ამ შეჯიბრების დაწყების წინ დაბრუნდნენ ესპანეთიდან, სადაც კატალონიის საკლუბო პირველობაზე ბარსელონის ერთ-ერთი გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდნენ.**

– სამი წლის წინათ ცნობილმა ქართველმა დიდოსტატმა ანა მათნაძემ საქველმოქმედო ორგანიზაცია დააარსა სახელწოდებით „ჭადრაკი – მშვიდობის ელჩი“, – მითხრა **სოფიკო გურამიშვილმა.** – სწორედ, მისი თანადგომითა და ბარსელონის საჭადრაკო კლუბ „პეო და პეონას“ მიწვევით პირენეიზე მე, ქეთი წაწალაშვილი და მარიამ დანელია გავემგზავრეთ. მეორე დივიზიონის პირველობაზე გამოვდივართ. ზედა ეშელონში გადასასვლელად 16 გუნდი იბრძვის. ზედიზედ ხუთი მეტოქე დავამარცხეთ. ჩვენი მასპინძელი ანა მათნაძე უმაღლესი დივიზიონის გუნდის – „ბარბერას“ შემადგენლობაში თამაშობს მეორე დაფაზე.

ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მე და წაწალაშვილი კანარის კუნძულებზე გავემგზავრებით და იქაურ საერთაშორისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. A ჯგუფში ჩემთან ერთად წრიული სისტემით (10 ტური) იასპარეზებენ ეგვიპტელი დიდოსტატი, ოცწლიანებში მსოფლიო ჩემპიონი აჰმედ ადლი, კუბელი დიდოსტატი რეინალდო ვერა, ესპანელი დიდოსტატი ქალი ვეგა გუტიერესი, ასევე, ორი კუბელი და ესპანელი საერთაშორისო ოსტატი. რეიტინგით მეხუთე ვარ, მაგრამ ვეცდები, სამეულში მოვხვდე, რაც საშუალებას მომცემს, ქალთა დიდოსტატის მეორე და ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი მოვიპოვო.

კანარის საერთაშორისო ტურნირის B ჯგუფში ანა მათნაძე, ქეთი წაწალაშვილი და მარიამ დანელია იბრძოლებენ პირველობისთვის. ამ პაექრობების დამთავრების შემდეგ კატალონიის გუნდური ჩემპიონატიც განახლდება. ყველაფერს ვიღონებთ პირველ ლიგაში გადასასვლელად.

**– რამდენადაც ვიცი, შეჯიბრებები კვირაში ერთხელ იმართებოდა. თავისუფალ დღეებში რას აკეთებდით?**

– დავათვალიერეთ ბარსელონის ღირსშესანიშნაობანი, რომელთა ხილვა წინა ორი სტუმრობისას ვერ მოვასწარით. გარკვეულ დროს ესპანელ დიდოსტატ





მარკ ნარცისოსთან მეცადინეობებს ვუთმობდით.

უმაღლესი დივიზიონის რომელიღაც გუნდმა ერთი პარტიის სათამაშოდ მიიწვია ახალგაზრდა ინგლისელი დიდოსტატი დევიდ ჰოუელი, რომელიც უმალ დაგვიახლოვდა ქართველებს. ბრიტანელთან ხუთწუთიანი პარტიების მინიმატჩიც ვითამაშე. ხუთი ხელიდან ორი მოვიგე და სამი წავაგე. ჰოუელს ბარსელონა ძალიან მოეწონა. დამშვიდობებისას გვითხრა, კიდევ გეწვევითო. თუ ასე მოხდა, ვეცდები, რევანში ავიღო...

ჯერჯერობით კი სოფიკო გურამიშვილი ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობს, რადგან მას ხუთი შეხვედრიდან 3,5 ქულა აქვს.

რადგან სიტყვამ მოიტანა, აქვე საქართველოს ქალთა 65-ე ჩემპიონატის VI ტურის შედეგებს გაუწყებთ: მაია ლომინეიშვილი – სოფიკო ნიკოლაძე 1:0, ქეთი წაწალაშვილი – სალომე მელია 0,5:0,5, ნინო ბაციაშვილი – ინგა ჭარხალაშვილი 0,5:0,5, ნანა ძაგნიძე – ნინო ხურციძე 0:1, ბელა ხოტენაშვილი – სოფიო ტერელაძე 1:0, ინგა ხურცილავა – სოფიო ხუხაშვილი 1:0. სოფიო გურამიშვილისა და სოფიო გვეტაძის პარტია არ შედგა, რადგან გვეტაძე ავადმყოფობის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: დევიდ ჰოუელისა და სოფიკო გურამიშვილის შეხვედრის მომენტი; მარიამ დანელია, ანა მათნაძე, სოფიკო გურამიშვილი და ქეთი წაწალაშვილი ბარსელონაში.**

## აბა ჰე!

# „ცისფერი“ ევრო

**ავსტრიელი ჰომოსექსუალების ჯგუფმა მოახლოებული 2008 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის ფეხბურთში საგანგებოდ გამართეს კონკურსი საუკეთესო პლაკატზე, რაც მიმართული იქნება ჰომოფობიის წინააღმდეგ, რომელიც, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა აზრით, დედამიწაზე შავი ჭირივით ვრცელდება.**

ვენაში ბინადადებულმა ორგანიზაციამ QWIEN თავის საიტზე განაცხადა, რომ სპეციალური კომპეტენტური ჟიური შეარჩევს 50 საუკეთესო პოსტერს, რომლებიც გამოიკვრება ავსტრიისა და შვეიცარიის ქალაქებში, სადაც ჩემპიონატის მატჩები გაიმართება. „სტატისტიკის თანახმად, დედამიწის მოსახლეობის 5 პროცენტი ჰომოსექსუალია, – ნათქვამია განცხადებაში, – აქედან გამომდინარე, 500 პროფესიონალი ავსტრიელი ფეხბურთელიდან 25 ჰომოსექსუალი უნდა იყოს. თუმცა ახლა პროფესიონალ ავსტრიელ ფეხბურთელთა შორის არც ერთი არაა ჰომოსექსუალი. ყოველ შემთხვევაში ამას ღიად არავინ აღიარებს.



ფეხბურთი უკანასკნელი ბასტიონია, საიდანაც უნდა აღმოიფხვრას ტერმინი „ნამდვილი მამაკაცი“. ცუდად მოთამაშე ფეხბურთელს ხშირად ხომ „დედაკაცოს“, „პედერასტს“ ეძახიან.

ჰეტეროსექსუალებს ძალზე ეშინიათ ჰომოსექსუალებთან უშუალო კონტაქტისა, რაც ფეხბურთის თამაშის დროს გულისხმობს შეხება-შეჯახებას, ხელის მოხვევასა და მოთამაშეებს შორის კონტაქტის სხვა სახეებს. გოლის გატანის დროს ფეხბურთელები ხშირად ეხვევიან და კოცნიან ერთმანეთს. ჰეტეროსექსუალებისთვის ეს იქნება მისაღები, სანამ ის კერძო ცხოვრებაში ინტიმურ კონტაქტში არ გადაიზრდება. სწორედ ასეთ ცრურწმენებთანაა საჭირო ბრძოლა! – დაასკვნის ის განცხადება.

№ 42. ხუთშაბათი, 6 მარტი, 2008 წელი.

● 400-გვერდიან წიგნში ფრიდონ ხალვაშის და მთელი მისი თვალსაწიერის ანარეკლია, მისი მდიდარი, მღელვარე, ჭირ-ვარამით სავსე ცხოვრებაა, მთელი საქართველოს უახლესი წარსულის გულწრფელი მატიანეა




## ◎ ინფორმაცია

### მარნეულში ქართულ ენას სწავლობენ

**ეუთო ეროვნულ უმცირესობებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციაში ეხმარება.**

**როგორც საქართველოში ეუთოს წარმომადგენლობიდან იტყობინებიან, 73 ადამიანი ქვემო ქართლის რეგიონიდან ქართული ენის ცოდნას იუმჯობესებს, ეუთოს მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში.**

**მონაწილეები, ძირითადად ეთნიკური აზერბაიჯანელებია, ისინი ასევე დაესწრებიან კომპიუტერის, ინგლისური ენის და სამოქალაქო საზოგადოების თემატიკაზე ლექციებს, – აღნიშნავენ ეუთოს ოფისში.**

**ლექციები მარნეულში ტარდება. საქართველოში ეუთოს მისიის დემოკრატიზაციის ოფიცრის ლოლა ანსიდეს თქმით, კურსები ადგილობრივ მოსახლეობას ენის ბარიერების გადალახვაში ეხმარება, სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით.**

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ კურთხევა

# ერთი კაცის წუთისოფელი

## 17 მაისს გეგელიძეებში „ფრიდონობა“ გაიმართება

**ამ წიგნის დიდი ნაწილი შარშან დაბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკამ“ და... როგორც ახლა ირკვევა, დიდი სამსახური გაუწია დოკუმენტური პროზის მოყვარულებს.**

ომრი – ერთი კაცის ხანგრძლივი ცხოვრება, ერთი პოეტის მართალი, მომხიბლავი ცხოვრება, რომელიც საკუთარი ქვეყნის, სულზე ტკბილი საკუთარი სამშობლოს დიდი ისტორიის ნაწილცაა.

...„ღმერთო ერთო, დიდო გამჩენელო, გმადლობ, რომ არ მაცოდინებ, როდისაა აღსასრული ჩემი... ემინ, მართლაც, ამ დუნიაზე ეს ხომ ერთადერთი არცოდნაა, ყველა ცოდნას რომ გირჩევნია“, – წერს წიგნის წინათქმაში ოთხმოცს გადაცილებული, რწმენით და სიცოცხლის ხალისით აღსავსე ფრიდონ ხალვაში და მკითხველს თავაზიანად სთხოვს: „იქნებ, საკუთარ შეცდომებზე ნაკლები ვთქვი. ეს იმიტომ, რომ სიკეთე და სიკეთისკენ ლტოლვა მაინც უფრო ჭარბობდა. იღბლის, სიწრფელის, სინაღდის, მოთმენა-პატიების და სიყვარულისადმი ერთგულების იმედით ვიყავი. ერთსაც აქვე ვიტყვი: უჩემობა მწერლობას ჩვენსას არც დაეტყობოდა. უმისოდ კი მე ცოდვა ვიქნებოდი... რაც გავიხსენე, დიდ საქმისთვის თუ ვერა, პატარა ფიქრისთვის მაინც გამოგადგება. გაშალე, ჩაიხედე, აქ მე ვარ!“

დიახ, აქ, ამ 400-გვერდიან წიგნში ფრიდონ ხალვაშის და მთელი მისი თვალსაწიერის ანარეკლია, მისი მდიდარი, მღელვარე, ჭირ-ვარამით სავსე ცხოვრებაა, მთელი საქართველოს უახლესი წარსულის გულწრფელი მატიანეა – აჭარულ დიალექტში დამკვიდრებული მრავლისმეტყველი სიტყვა ომრი რომ სრულად გამოხატავს.


გოგლა ლეონიძესთან ერთად (ფრიდონის ნათლიაძ ბათუმი. 1961 წ.

რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტის ეს პროზაული წიგნი შესანატრი ოპერატიულობით გამოსცა „ეროვნულმა მწერლობამ“ და 2 მარტს კრებულის კურთხევაზეც მიიწვია ფრიდონ ხალვაშის ნიჭის, კაცობის, ნამუსიანად განვლილი ცხოვრების თაყვანისმცემლები.

კურთხევის ღონისძიებას უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ დამფუძნებელ-გამომცემელი **ვაჟა ოთარაშვილი.**

ფრიდონ ხალვაშის კოლორიტულ პიროვნებაზე, მისი ახალი წიგნის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრეს რუსთაველის პრემიის ლაურეატებმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ **რევაზ მიშველაძემ,** გამოჩენილმა არქიტექტორმა **ვახტანგ დავითაიამ,** საქართველოს სახალხო არტისტმა **ანზორ ერქომაიშვილმა.**

წიგნის რედაქტორმა, პოეტმა **ემზარ კვიტაიშვილმა** შეკრებილთ მოუთხრო იმ მივიწყებულ, ძირძველ ქართულ სიტყვებზე, რომელიც მარგალიტებივით ამშვენებს ფრიდონ ხალვაშის დოკუმენტურ პროზას.

მწერალს შემოქმედებითი გამარჯვება მიულოცეს პოეტებმა **გიორგი გიგაურმა, მზია ხეთაგურმა,** მსახიობმა და მწერალმა **გივი სიხარულიძემ,** მთარგმნელმა და პუბლიცისტმა **გურამ გოგიაშვილმა,** მწერალმა **გიზო ზარნაძემ,** პროფესორმა **ტარიელ ფუტკარაძემ,** ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოების თავმჯდომარემ, პროფესორმა **ნელი ჩაფიძემ.**

პოეტმა **მურმან ჯგუბურიამ** წაიკითხა შთამბეჭდავი ჩანახატი ფრიდონ ხალვაშსა და მის ახალ წიგნზე. ის ჟურნალ „ქართული მწერლობის“ უახლოეს ნომერში დაიბეჭდება.

მეგობართა ყურადღებით გახარებულმა ფრიდონ ხალვაშმა ცნობილი ლექსი „მემლექეთი“ წაიკითხა და... შეკრებილთა სახელით მთელი ქართული მწერლობა მშობლიურ სოფელ გეგელიძეებში მიიპატიჟა, **სადაც 17 მაისს სახალხო დღესასწაული „ფრიდონობა“ გაიმართება.**

„ფრიდონობა“ პოეტის მამულიშვილური ღვაწლის აღსანიშნავად! – ეს დღესასწაული, თურმე, ტრადიციული გახდება... ამით ყველაფერია ნათქვამი.

**სპარტაკ ქოზულია**

**P. S. წიგნის მხატვარია პოეტის ქალიშვილი მზია ხალვაში, წიგნის გამოცემაში ხელშეწყობისთვის ავტორი განსაკუთრებულად ემადლიერება ბათუმელ თამაზ ბალაძეს.**

**სს „ხდეს“ აქციონერთა საყურადღებოდ!**

**2008 წლის 3 აპრილს 14 საათზე გაიმართება „ხდეს“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №41, სართ. 6, ოთ. 3.**

**დღის წესრიგი:**

1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. აუდიტის არჩევა;
3. ძველი სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების შეჩერება;
4. ახალი სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
5. ქონების რეალიზაცია;
6. სხვადასხვა.

**სს „ხდეს“ 50 პროცენტზე მეტის მფლობელი აქციონერი.**

**2008 წლის 26 მარტს 12 საათზე ჩატარდება სს „რეას“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.**

**მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 18 ა.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „რეას“ აქციონერების მიერ აქციათა გასხვისების შესახებ;
2. სხვადასხვა.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციაში.

**დირექცია**

## ◎ კვალი

# ჯემალ თოფურიძის „ჯიბის წიგნი“




**თვრამეტი მცირე ზომის და ერთი შედარებით ვრცელი „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“ – აი, ეს არის გასული საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული მწერლის ჯემალ თოფურიძის ახალი, რიგით მეოთხე წიგნის შიგთავსი, რომლის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინათ გაიმართა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში. საღამოს ჯემალ თოფურიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის თავის მომზადე, კრებულის შემდგენელი, მწერლის მეუღლე მანანა დუმბაძე უძღვებოდა.**

– იკითხავთ, რატომ მაინცდამაინც ლიტერატურის ინსტიტუტი ავირჩიეთ ახალი წიგნის წარსადგენად, – თქვა მანანა დუმბაძემ და თავადვე გასცა პასუხი: – იმიტომ რომ ეს ჩვენი სახლია, ჯემალი აქ რომ მოვიდა, ერთადერთი მოთხრობა ჰ ქონდა გამოქვეყნებული, მაგრამ მთელი მისი დანარჩენი შემოქმედება სწორედ ამ კედლებთან არის დაკავშირებული, შვილიც, შეიძლება ითქვას, აქ გავზარდე და მხოლოდ ერთი წლის წინათ სხვაგან გადავედი სამუშაოდ...

ჯემალ თოფურიძეს 60 წელი შარშან, წლის მიწურულს შეუსრულდებოდა, რომ არა 30 წლის წინათ, გაზაფხულის ერთი წვიმიანი საღამო, როცა მეგობრებთან მიმავალი მანქანამ გაიტანა. გარდაცვალებამდე ათიოდე პატარა მოთხრობა ჰქონდა გამოქვეყნებული ქართულ პერიოდულ გამოცემებში, თუმცა ისინი ერთდროულად ისეთი ტკივილიანი და ნათელია, რომ მკითხველმა უმალვე ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა შემოქმედს. რამდენიმე მოთხრობა გამოქვეყნებული დარჩა, რომელთა დასასტამბად მომზადება და გამოცემა მისმა მეუღლემ მანანა დუმბაძემ ითავა. ბოლო გამოცემაში, რომელსაც „ჯიბის წიგნი“ დაერქვა, ის მოთხრობებია შეტანილი, რაც უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა მწერლის სიყვარულისა და პატივისცემის ნიშანია.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი საგულისხმო დამთხვევა: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ ჯემალ თოფურიძის ახალი წიგნის პრეზენტაციამდე ერთი კვირით ადრე იმავე დარბაზში მწერალ გურამ რჩეულიშვილის ხსოვნის საღამო მოეწყო, რაც, ვფიქრობ, ერთობ ნიშანდობლივია ორი შემოქმედის ხანმოკლე სიცოცხლითა და ცხოვრების ტკივილიანი განცდით.

ჯემალ თოფურიძის წიგნის წარდგენაზე სიტყვით გამოვიდნენ ლიტერატურათმცოდნე მანანა კვაჭანტირაძე, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელმაც პირველმა დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ მწერლის ყველაზე ცნობილი ნაწარმოები „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“, წიგნის შესავლის ავტორი ანდრო ბუაჩიძე, რედაქტორი მალხაზ კოზიაშვილი, მამუკა დოლიძე, თემო დოიაშვილი, ინსტიტუტის დირექტორი ირმა ლიპარტელიანი.

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს ჯემალ თოფურიძის და ასევე უდროოდ გარდაცვლილი მწერლის მერაბ აბაშიძის ბედის მსგავსებას, მათი მაშინდელ ქართულ ლიტერატურაში შემოტანილ სიცოცხლის მწვავე განცდას, ნაწარმოებთა კონსტრუქციის დახვეწილობასა და ხშირად ტრაგიკული ფინალის მიუხედავად ტანჯვის წიაღში დანახულ ადამიანთა დიდ სიკეთეს.

„საქართველო თბილისში ასფალტირებულ ეზოებს მაგონებს, ოღონდ, ეზოს გუდრონიან ნაწილს კი არა, იმ პატარა გადარჩენილ მიწას, ეზოს კედელსა და ასფალტს შორის რომ არის მოქცეული, მომწყვდეული, ვიღაცას რომ დაურგავს იმ გადარჩენილ მიწაზე ცოტაოდენი მწვანე“, – წერს ჯემალ თოფურიძე მოთხრობაში „ოცნებაო, ჩემო ძველო“ და ეს მაინც თითქოს რეფრენად მისდევს მისი მოთხრობების ახალ წიგნს, რომელიც, საღამოს მონაწილეთა საერთო აზრით ერთ-ერთი საუკეთესოა ადრე დასტამბულ გამოცემათა შორის.

**ოთარ ტურაბელიძე**

## სულთათანა

● *თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*



◎ სოფიკო ჭიაურელის ხსოვნას

# სავანე ფიქრის გორაზე

ამ დღეებში ყველანი დავრწმუნდით, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოში სიყვარული არ გარდაცვლილა. არც „საყოველთაო-სახალხო სიყვარული ყოფილა“ დრომოჭმული ფრაზა. სოფიკო ჭიაურელმა თავისი გარდაცვალებით ურთიერთსიყვარულსა და ურთიერთპატივისცემის ქართულ ტრადიციას ახალი, სიცოცხლის ბიძგი მისცა – სწორედ რომ კიდევ ერთხელ საყოველთაო მასშტაბი შესძინა ამ უკვდავ, საღვთო ცნებას. არ იქნება სრულფასოვანი, თუ ვიტყვით, რომ ეს ყველაფერი აიხსნება მისი საოცარი გენეტიკური უმაღლესი სამსახიობო ოსტატობითა და შემოქმედებითი მიღწევებით. რა თქმა უნდა, კი, მაგრამ არა მხოლოდ. ჩვენ ხომ მისი თანამედროვეები ვართ, ყველაფერი ხომ ჩვენს თვალწინ მოხდა – ჩვენ ხომ ვიცით, როგორ გაარღვია პატარა ბაფთიანმა გოგონამ ყველანაირი საზღვრები და ათეულ მილიონობით ადამიანის სათაყვანებელი პიროვნება გახდა. ცხადია, პროფესიული სტანდარტების მკაცრი მოთხოვნების დაცვის გარეშე ამას ვერავინ ახერხებს, მაგრამ სოფიკოში ხომ კიდევ იყო რაღაც განსხვავებული, განსაკუთრებული, ქალური და, რაც მთავარია, მომეტებული ჩვენებური, ქართული, ეროვნული კოლორიტი. საქართველო ხომ სწორედ ამის გამოა ასე მომხიბლავი და ასე მიმზიდველი.

ძნელია შევაფასოთ ჭიაურელებისა და ანჯაფარიძეების ოჯახის, კოტე მახარაძისა და სოფიკო ჭიაურელის პირადი წვლილი ქართული კულტურის, ქართული სტუმართმოყვარეობის, ქართული ცხოვრების წესის პროპაგანდაში. უკამათოა, რომ პირველ რიგში ეს მათ თავიანთი მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობით შეძლეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ფიქრის გორაზე არსებული სახლის დამსახურებაც. სოფიკოს პირადი ღვაწლი ის გახლავთ, რომ მიუხედავად ამ სამი ადამიანის ცხოვრებიდან წასვლისა, მან არათუ არ გაწყვიტა ფიქრის გორაზე არსებული ჭეშმარიტი სავანის საუკუნოვანი ტრადიციები, არამედ ახალი ხიბლი შესძინა აქაურობას, აქ მოსვლასა და შეხვედრებს.

ვისაც წილად ხვდა ბედნიერება, მოხვედრილიყო ფიქრის გორაზე მდებარე ამ საოცარი ოჯახის წიაღში, კარგად იცის, რა საზოგადოება იყრიდა აქ თავს. ათასი ჯურისა და მრწამსის გადამთიელი, ყველა წარმატებული, აღიარებული თუ ბედისგან დევნილი, ერთმანეთში მოქიშპე თუ მოპაექრე, კონფორმისტი თუ თავისუფლად მოაზროვნე ამ სახლის ზღურბლის გადმობიჯების შემდეგ სხვა ადამიანად იქცეოდა. აქ ყველა ვითარებაში, როცა გარეთ მძვინვარებდა სიძულვილი და მტრობა, სუფევდა ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის ატმოსფერო. ადამიანებს აქ მოჰქონდათ თავი, რომ გადარჩენილიყვნენ. და ეს ხდებოდა თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში განუწყვეტლივ. მე ჩემი თვალით მინახავს, თუ როგორ მართავდა ამ საოცარ კომფორტსა და სიმყუდროვეს თვით ლეგენდარული ვერიკო ანჯაფარიძე, რა დღესასწაული იყო კოტე მახარაძის ერთი მსახიობის თეატრის სპექტაკლები, დაბოლოს, ჩვენი მედგარი სოფიკო, რომელიც განსაცვიფრებლად ასწრებდა ყველაფერს.

მე არ ვიცი, აწი რა მოხდება, მაგრამ სოფიკოს წასვლით ერთი ეპოქა დამთავრდა...

სოფიკო ჭიაურელის წარმომავლობასა და შემოქმედებითი აღიარების მქონე პიროვნებას დიაღაც შეეძლო, შედარებით გულგრილი ყოფილიყო თავისი და მათი ოჯახის ათასობით თაყვანისმცემლის გასაჭირის მიმართ, რაც ასე მომრავლდა უკანასკნელ წლებში. ბოლოს და ბოლოს ადამიანის შესაძლებლობებსაც ხომ აქვთ ფიზიკური საზღვარი! სოფიკომ ეს ფუნქციაც ქართულად, ვაჟკაცურად იკისრა და ამ მხრივ ჩემი ოჯახი გამონაკლისი როდია.

მოგეხსენებათ, ჭიაურელების ოჯახმა იცოდა, რას ნიშნავს შვილის დაღუპვით გამოწვეული ტრაგედია. იქნებ ამიტომაც აღმოჩნდა სოფიკო ერთი პირველთაგანი, ვინც გვერდში დაგვიდგა იმ შეშლილ დღეებში და ჩვენი ყურადღება სხვა მიმართულებით წარმართა. თბილისის საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა, ჩემი შვილის თაობამ 2004-2005 წლების სეზონში ათამდე სპექტაკლი იხილა ვერიკოს თეატრში დიდებული მსახიობის მურმან ჯინორიას შესრულებით, რომელიც უდროოდ დაღუპული პოეტის შემოქმედებაზე იყო აგებული. ფაქტობრივად, სოფიკო ჭიაურელმა გააცნო ფართო საზოგადოებას დათა გულუას პოეზია და ამით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო მის ხსოვნას, ხოლო მისი მშობლები ფიზიკურად გადაარჩინა. იფიქრებთ, რომ ეს იყო სიყვარული სიყვარულის წილ, ალბათ, კი, მაგრამ ეს ამქვეყნიურ საზომზე, ამქვეყნიურ განზომილებაზე ბევრად მაღლა მდგომი გამოვლინებაა ადამიანის სულიერებისა. ერთი კვირის წინათ სოფიკო ვინახულეთ, ვიცოდით, რომ უკანასკნელად, მაგრამ მაინც...

უცბად მეკითხება – ბაკურ, ხომ არ იცი, რა დანაშაული მიმიძღვის ამისთანა, რომ ყველა ჯოჯოხეთური განსაცდელი მარგუნაო ბედმა? უცბად, თითქოს ენაზე იკბინაო – თუმცა ასეთ შეკითხვას შენ და ნანას არ უნდა გაძლევდეთო – ჩაილაპარაკა.

ფიქრის გორიდან რომ მოვდიოდი, ერთი საფიქრალი ამეკვიატა. ეპოქები მიდიან, ეპოქები მოდიან, როგორც ადამიანები ზოგჯერ კარგები არიან, ზოგჯერ ცუდები. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჩვენც წავალთ; ძნელია, როცა ეპოქის წასვლის მოწმე ხდები; ალბათ, უფრო ძნელი, როცა ეპოქა თან მიგაქვს.

სოფიკო აქაც გამონაკლისია – მას ერთი ეპოქა თან მიაქვს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახალი, კარგი ეპოქის მოსვლის იმედს ტოვებს.

ღმერთმა ქნას!

**ბაკურ გულუა**

04.03.08 წ.

◎ უკვე მოგონებად ქცეული

# მოკიაფე ვარსკვლავი

ღამით ტელევიზიის ერთ-ერთი არხი „ნატვრის ხეს“ გადმოსცემდა. მრავალჯერ ნანახ ფილმს კვლავ აღტაცებით ვუცქერდი, მაგრამ ამ აღტაცებას დიდი გულისტკივილი ახლდა, რადგან ვიცოდი, სოფიკოს ჯანმრთელობის სავალალო მდგომარეობა.

დილით მთელმა საქართველომ შეიტყო საყვარელი მსახიობის – სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალება. წავიდა ჩვენგან ყველასათვის საყვარელი სოფიკო.

როცა თვალს გადავავლებ მსოფლიო კინოვარსკვლავთა სახეებს, მათ შორის ვხედავ მოკიაფე ვარსკვლავს სოფიკო ჭიაურელს. იგი დიდებული ხელოვანია. მისი შემოქმედების სიმაღლე ვერ ეგუება ზოგად შეფასებებს: ნიჭიერი, უნიჭიერესი და სხვა. იგი გენიალური მსახიობია, რომელმაც ბრწყინვალედ იცის ადამიანის სულიერი სამყარო, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. იგი დრამატული და პლასტიკური ხელოვნების უბადლო ოსტატია, რომელმაც თავისეული გრაციოზულობით შექმნილი პლასტიკა დაგვიტოვა თეატრსა და კინოში. სოფიკო ჭიაურელმა უმშვენიერესი, დაუვიწყარი სახეები შექმნა. მისმა დახვეწილმა, ნატიფმა ხელოვნებამ უამრავი თაყვანისმცემელი შესძინა ქართულ სამსახიობო კულტურას როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთშიც. ქართველმა ხალხმა მისი სახით დაკარგა დიდი ხელოვანი, გულანთებული მამულიშვილი, უზომოდ შეყვარებული თავის სამშობლოზე – საქართველოზე.

ღრმა მწუხარებას და სინანულს გამოვთქვამ სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობ მის ოჯახს, ახლობლებს.

**მერაბ ბერძენიშვილი**



გარდაიცვალა ქართველი ხალხის საყვარელი მსახიობი, სცენის დედოფალი, ქალბატონი

სოფიკო ჭიაურელი,

რომელმაც თეატრისა და კინოს განუმეორებელი, დაუვიწყარი სახეები შექმნა და საყოველთაოდ აღიარებული, დიდებულ ხელოვანთა ოჯახის ტრადიცია ღირსეულად გააგრძელა.

ქართულმა კულტურამ და ქართველმა ხალხმა დაკარგა შესანიშნავი პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი, ქვეყნის გულშემატკივარი, უზადო შემოქმედი.

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყება სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი**

თამარ დეკანოსიძე, ნოდარ ბაქრაძე, დიმიტრი კორძაია, ჯანგირ მამალაძე ულრმესი გულისტკივილით იუწყებიან სახელოვანი მშობლების ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლის და განმავითარებლის, ხალხის განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით გამსჭვალული, გამორჩენილი ქართველი მსახიობის, საზოგადო მოღვაწის და ქართული კულტურის უდიდესი პოპულარიზატორის

სოფიკო ჭიაურელის

გარდაცვალებას.

# არაჩვეულებრივი ნიჭის კიდევ ერთი გაბრწყინება



სოფიკო ჭიაურელი, ჯუმბერ ლომინაძე და ლიდია ფედოსეევა-შუკშინა

**ჩვენს გამოჩენილ ასტროფიზიკოსს, აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძეს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა სოფიკო ჭიაურელსა და კოტე მახარაძესთან. ის არაერთხელ ყოფილა მიწვეული ფიქრის გორაზე, ერთი მსახიობის თეატრის დადგმებზე.**

– ჩემთვის მთელი სიცოცხლე დაუვიწყარი დარჩება 2000 წლის 5 ივნისი, როცა რუსთაველის გამზირზე, ცისფერ გალერეაში გაიხსნა ჩემი პერსონალური ფოტოგამოფენა, მეუღლის, ლია ლომინაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი. სოფიკომ გამოფენაზე რამდენიმე საათი დაჰყო, გულდასმით დაათვალიერა ჩემი ნამუშევრები და შთაბეჭდილებათა წიგნში გულთბილი ჩანაწერი დატოვა.

ფიქრის გორაზე სოფიკოს და კოტეს სტუმართმოყვარე სახლის კარი ყოველთვის ღია იყო მიმსვლელთათვის, ხელოვნების, მეცნიერების, სხვა სფეროთა წარმომადგენლებისათვის. ყველას უხაროდა იქ ყოფნა, განსაკუთრებით თბილისის სტუმრებს. იქ მეც არაერთხელ ვყოფილვარ. გამორჩევით დამამახსოვრდა 2004 წლის ნოემბერი, როცა საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი რუსეთელი მსახიობი ლიდია ფედოსეევა-შუკშინა, რომელთან ერთადაც ვთამაშობ რეზო ჩხეიძის ახალ ფილმში „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“. რასაკვირველია, სოფიკომ მიგვიპატიჟა თავისთან, თეატრში. მასპინძელმა გადაწყვიტა ქართულად წაკითხვა ერთსაათიანი პიესისა. აქ მოხდა საოცრება: უცბად ხელთ ქართული ტექსტით, ქართულ ტექსტში ცქერით გადავიდა თარგმანზე და უზადო რუსულით, შეუჩერებლივ, იმპროვიზებულად ჩაიკითხა ბოლომდე. მარტო შუკშინა კი არა, ყველა განცვიფრებული დავრჩით. ეს გახლდათ მისი არაჩვეულებრივი ნიჭის კიდევ ერთი გაბრწყინება...

*ჩაიწერა*

**თამაზ ებანოიძემ**

# ბოლო გვერდი

● ჭიაურელების სახლი იყო კერა დიდი სულიერი საგანძურისა და იმ სტუმართმოყვარეობისა, რომელიც ოდითგანვე ასე ახასიათებს ქართველ ერს



## სოფიკო ჭიაურელის ხსოვნას

## მსახიობი — ლეგენდა



პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა", სრულიად საქართველოსთან ერთად, გლოვობს ქართული კინოსა და თეატრის ლეგენდის – სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალების გამო. ფონდის დაარსებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სოფიკო ჭიაურელი „იავნანას" დიდი მხარდამჭერი გახლდათ, მისი თანადგომით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი საქველმოქმედო პროექტი, რითაც ათეულობით ბავშვის გადარჩენა გახდა შესაძლებელი.

სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეულმა მსახიობმა უკანასკნელი შემოქმედებითი საღამო სწორედ „იავნანასა" და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დაუკავშირა. სოფიკო ჭიაურელი იყო განუმეორებელი არტისტი, საზოგადო მოღვაწე და რაც მთავარია, საოცრად მზრუნველი დედა, მისთვის შვილებს და ოჯახს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომაც გულთან ახლოს მიჰქონდა მიუსაფარ ბავშვთა პრობლემები და იმ დედების სატკივარი, ვინც უსახსრობის გამო შვილებს ბავშვთა სახლში აბარებდა. ფონდ „იავნანასთან" ერთად მისი უკანასკნელი პროექტი 2007 წლის 10 იანვარს ისრაელში გამართული საქველმოქმედო საღამო იყო, ამ საღამოს შემოსავლით „იავნანამ" ორი მრავალშვილიანი ოჯახისთვის შეიძინა ბინა.

ფონდი „იავნანა" სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს და სრულიად საქართველოს.

---

მაია და გურამ ახალაიები მწუხარებით იუწყებიან სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული შემოქმედის, მრავალმხრივი ნიჭიერებით შემკობილი პიროვნების, ყველა ახლობლისა და მეგობრისთვის დიდი იმედისა და თანადგომის, განუმეორებელი

სოფიკო ჭიაურელის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული თეატრისა და კინოსთვის, ქართული ხელოვნებისთვის, მთელი ჩვენი საზოგადოებისთვის. იშვიათად, რომ მსახიობს ესოდენ მნიშვნელოვანი ადგილი დაეკავებინოს ერის კულტურულ, სულიერ ცხოვრებაში და მაყურებლის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინოს.

სოფიკო ჭიაურელის შემოქმედება გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, დიდი სცენური კულტურით, უშუალობით, ნატიფი იუმორითა და პლასტიკური გამომსახველობით. მას 1956 წლიდან იღებენ ფილმებში. იგი საოცრად დიდი დიაპაზონის მსახიობი გახლდათ და იოლად დასძლია ტრადიციული წარმოდგენა სამსახიობო ამპლუას შესახებ. უტყუარი არტისტული ალღო, გარდასახვის უნარი, ნაწარმოების სტილისა და ჟანრის გრძნობა საშუალებას აძლევდა მსახიობს შემოქმედებითი გამარჯვებისათვის მიეღწია ყველაზე მოულოდნელ და კონტრასტულ როლებში. სოფიკო ერთნაირი წარმატებით ქმნიდა როგორც მონუმენტურ, სკულპტურულ, ასევე, სახასიათო, ექსცენტრიკულ სახეებს. არანაკლებ დამაჯერებელი იყო იგი ყოფით, რეალისტურ როლებში. ალბათ, ამ პარადოქსულ შერწყმაში მდგომარეობს სწორედ სოფიკო ჭიაურელის სამსახიობო ინდივიდუალობის არსი და მისი, ამაღლებული პათოსითა და ლირიზმით სავსე ღრმად ეროვნული ნიჭის საიდუმლო.

## გაცოცხლებული ფრესკა

სოფიკო ჭიაურელის მიერ განსახიერებული როლები – ციცინო („ჩვენი ეზო"-ძ, ტასია („რაც გინახავს, ველარ ნახავ"-ძ, მზექალა („ხევსურული ბალადა"-ძ, სიდონია („წუთისოფელი", სოფიკო („არ იდარდო"-ძ, ელენე („ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება"-ძ, თამრო („აურზაური სალხინეთში"-ძ, ვარდო („ვერის უბნის მელოდიები"-ძ, ფუფალა („ნატვრის ხე"-ძ, ნანო („დათა თუთაშხია"-ძ, სოფიკო („რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"-ძ, მაილენა („ნუცას სკოლა"-ძ – სხვადასხვა თაობის მაყურებელთა საყვარელ გმირებად იქცა. სოფიკო გახლდათ სერგო ფარაჯანოვის მუზა. მას განუმეორებელი სახეები აქვს შექმნილი ფილმებში: „ბროწეულის ყვავილობა", „სურამის ციხე" და „აშიკ ყარიბი". მთავარი როლისათვის ფილმში „არევიკი", სოფიკო ჭიაურელმა სომხეთის სახალხო არტისტის წოდება დაიმსახურა. რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის სტუდიებში დასამახსოვრებელი სახეები აქვს შექმნილი ფილმებში – „ექიეთ ქალი", „მილიონი საქორწილო კალათაში", „მოციმციმე ვარსკვლავი", „ღამის პეპელა", „ალი-ბაბა და 40 ყაჩაღი", „ახლოაღმოსავლური ისტორია", „შეცდომების კომედია", „დაგპირდი და წავალ".

სოფიკოს „გაცოცხლებულ ფრესკას" უწოდებდნენ და მის სახეს ძველი ჭედური ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრებს ადარებდნენ. ნებისმიერი მსახიობისათვის განსაკუთრებით რთულია უხმო ეპიზოდების შესრულება, როდესაც მსახიობი პირისპირ რჩება საკუთარ გმირთან და მასთან ერთად ფიქრობს, განიცდის. სოფიკო ასეთ მდუმარე სცენებში განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას აღწევდა. მისი თვალები გამოხატავდნენ გრძნობათა მთელ გამას, რომელიც მის ნატიფ, ულამაზეს სახეზე აისახებოდა.

სოფიკო ჭიაურელთა გვარის უნიჭიერესი წარმომადგენელი იყო. იგი, კოტე მახარაძესთან ერთად, გახლდათ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ქართულ ხელოვნებაში ისეთი უნიკალური მოვლენისა, როგორიც არის ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი. იშვიათად თბილისში ვინმე ცნობილი ხელოვანი ჩამოსულიყო და სოფიკოს სახლში არ აღმოჩენილიყო სტუმრად. ჭიაურელების სახლი იყო კერა დიდი სულიერი საგანძურისა და იმ სტუმართმოყვარეობისა, რომელიც ოდითგანვე ასე ახასიათებს ქართველ ერს.

მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით თუ რა უკურნებელი სენი სჭირდა, სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალება მაინც მოულოდნელი გამოდგა ყველასთვის. მართლაც ძნელია შეეგუო იმ ფაქტს, რომ ჩვენ გვერდით აღარ არის უნიჭიერესი, უმშვენიერესი ქალბატონი, რომლის ხსოვნას, დარწმუნებული ვართ, დიდი ხნის განმავლობაში არ დაივიწყებენ მისი თაყვანისმცემლები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი

---

თამუნა ინალიშვილი იუწყება ბაბუის ირაკლი (ტურუძ ინალიშვილის გარდაცვალებას.

---

## ინფორმაცია

## აირჩიეს „საზოგადოებრივი მაუწყებლის" საბჭოს თავმჯდომარე

**„საზოგადოებრივი მაუწყებლის" ახალმა სამეურვეო საბჭომ პირველი სამუშაო შეხვედრა დაასრულა.**

გუშინდელ შეკრებაზე სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ **ირაკლი ტრიპოლსკი** აირჩიეს, ხოლო მისი მოადგილე ლევან გახელაძე იქნება.

განისაზღვრა საბჭოს 9-ვე წევრის უფლებამოსილების ვადები, რაც შემდეგნაირად გადანაწილდა: 6-წლიანი ვადით სამეურვეო საბჭოში არჩეული არიან ირაკლი ტრიპოლსკი, მიხეილ ჭიაურელი და ირმა სოხაძე; ოთხწლიანი ვადით – მარინე ვეკუა, ბაკურ სულაკაური და ლევან გახელაძე; ორწლიანი ვადით – მამუკა ფაჩუაშვილი, ირაკლი ანჩაბაძე და ზურაბ ხარატიშვილი.



„საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭომ დააკმაყოფილა მაუწყებლის გენერალური დირექტორის თამარ კინწურაშვილის განცხადება გადადგომის შესახებ.

გენერალური დირექტორის მოვალეობას დროებით გენერალური დირექტორის მოადგილე ლევან გიორგაძე შეასრულებს.

ამასთან, საბჭომ გამოაცხადა კონკურსი „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენდირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე. კონკურსის პირობები დღესვე „მაუწყებლის" ვებგვერდზე განთავსდება, განაცხადების მიღების ვადა კი, 15 მარტამდეა. 4 აპრილისთვის, სავარაუდოდ, ტელევიზიას კონკურსის წესით არჩეული ახალი გენერალური დირექტორი ეყოლება.

საბჭომ გადაწყვიტა, მოიწვიოს გარე აუდიტი ტელევიზიისა და რადიოკორპორაციის ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად.

**ინტერპრესნიუსი**

---

## კრიმინალი

## დააკავეს ქურდობაში ეჭვმიტანილი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 19 წლის ავთანდილ ჩხაიძე დააკავეს. ჩხაიძე ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც ქურდობას, ანუ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებას გულისხმობს.**



მიმდინარეობს გამოძიება. საქმეს შს აჭარის სამმართველო იძიებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ავთანდილ ჩხაიძეს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## ნარკორეალიზატორთა თარეში უნდა აღმოიფხვრას

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულის ფაქტზე 2 პირი დააკავეს.**

დაკავებულნი არიან 33 წლის ასლან ცეცხლაძე, რომელსაც პირადი ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული 4 ე.წ „ჩეკად" დაფასოებული „ჰეროინი", ხოლო 25 წლის ლევან ბაღათურიას 11,75 გრამი „ჰეროინი" აღმოაჩნდათ

ორივე ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით აღიძრა, რომლის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულებს 8-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

**ჯი-ეიჩ-ენი**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434


რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.